სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 7 აგვისტო 2008 №181 (3405) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანათინაიკოსი ქართველების ტრადიციას გაუფრთხილდა: თქვენი დრო ზაფხულია!

დიახ, მოგება შეიძლება!

ეგებ ერთი ქართველიც ჩემპიონთა ლიგაში

8

თასს წილი ეყარა

ქართული კლუბები მერვედფინალში დაწყვილდნენ

9

ათენის წილი პეკინში მივიღოთ

ინტერვიუ ზაზა თურმანიძესთან

12

ბაზრის კალთიანის ფოტო

დიახ, მოგება შეიძლება! ეგებ ერთი ქართველიც ჩემპიონთა ლიგაში...

ლიტვურმა „კაუნასმა“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე უდიდესი სენსაცია მოახდინა, სტუმრად ფრედ (0:0) ნათამაშები მატჩის შემდეგ შინ 2:1 მოუგო გლაზგოურ „რეინჯერსს“ და ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი საკლუბო ტურნირების ყველაზე პრესტიჟული გათამაშების მიღმა დატოვა.

„კაუნასის“ ამ წარმატებაში თავისი წვლილი ნუპრი მანჩხავასაც მიუძღვის. ჩვენებურმა მარცხენა მცველად ითამაშა და ნაჩო ნოვოს ფეხი არ გაანძრევინა.

კაუნასელები მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე დანიურ „ოლბორგს“ ხვდებიან, იქიდან კი ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად ერთი ნაბიჯია. აქვს „კაუნასს“ ქართული კლუბებისთვის მხოლოდ საოცნებო ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსი? რატომაც არა — „რეინჯერსი“ თუ წააქციეს, „ოლბორგთან“ თამაში, მით უმეტეს, შეიძლება. მანჩხავას გუშინ კაუნასში შევეხმიანეთ...

— „რეინჯერსთან“ მოგებით ყველა გააოცეთ...

— მაგარი შანსი გვქონდა და, რომ იტყვიან, მოედანზე გაგიუებულები გავედით. ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ მაგრად ვაჯობებთ მეტოქეს. მათ გოლის გარდა კიდევ ორი მომენტი ჰქონდათ, ჩვენ კი გაცილებით მეტი. ტერიტორიული უპირატესობაც ჩვენი იყო და ბურთიც მეტხანს გვეჭირა.

— ინტერნეტგვერდების ცნობით, მანჩხავამ ნოვოს ფეხი არ გაანძრევინა...

— საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ ნოვოს საერთოდ არაფერი გაუკეთებია ღირებული თავისი გუნდისთვის.

— „ოლბორგზე“ გახვედით. რა შანსები გაქვთ ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად?

— „ოლბორგის“ თამაში არ ვიცი, მაგრამ სახელითაც და ტიტულებითაც „რეინჯერსი“ რომ უფრო ძლიერია, ლაპარაკი რად უნდა. გააჩნია ახლა ვინ როგორ ფორმაშია. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ „ოლბორგს“ უეჭველად მოვუგებთ, მძიმე თამაში იქნება. ერთია, ჩვენ შედეგი უკვე ვაჩვენეთ და თუ ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდით, ეს უდიდესი მიღწევა იქნება, რაც შეუძლებელი არ ჩანს.

— გივი კვარაცხელია გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. მისი წასვლის შემდეგ „კაუნასი“ არ დასუსტდა?

— გივი იმიტომ გაუშვეს ბელარუსში, რომ „მტზ-რიპო“ გაეძლიერებინა, ეს გუნდები ერთი პიროვნებისაა, თუმცა „კაუნასის“ კარგი თამაში უფრო მწვრთნელის დამსახურებაა. სამი კვირის წინ პორტუგალიელი მწვრთნელი მოგვიყვანეს. ამ კაცმა ყველაფერი შეცვალა. ადრე, რომ იტყვიან, გუნდი „ბეი-ბეგის“ პრინციპს მისდევდა და ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობდა, ახლა მწვრთნელი უფრო ტექნიკურად გვათამაშებს — ბურთის დაჭერა, კონტროლი, მოკლე პასები. გუნდის თამაში სამ კვირაში ასე შეცვლილიყოს, არ მინახავს.

— ტექნიკური ფეხბურთი ქართველებისთვის უცხო არ არის. ხოსე კუსეირო საშენო კაცი ყოფილა...

— მართალი გითხრათ, მის ხელში უფრო ავთამაშდი.

— კაუნასში“ კარგად და სტაბილურად თამაშობ, ნაკრებში კი არ გიძახებენ. არ გწყდება გული?

— როგორ არა. ნაკრების ყოველი თამაშის წინ ველოდები დაძახებას და ამ ლოდინმაც დამღალა. თავს არ ვიქებ, მაგრამ ერთი ამხანაგური თამაშისათვის მაინც დამიძახონ და გაიგონ, რისი გამკეთებელი ვარ. მეც ხომ შევატყობ მერე, ვარ თუ არა გამოძახების ღირსი...

მიხეილ ჟორჟოლიანი

ტოპ-350 დინამო და ახლა ზესტაფონიც

მსოფლიო ფეხბურთის საერთაშორისო სტატისტიკის ასოციაციამ კლუბების რეიტინგი გამოაქვეყნა და ტოპ-350-ში ორი ქართულია: „დინამო“ და „ზესტაფონი“. ბოლო თვეებში ამ სიაში მხოლოდ დინამოელები ხვდებოდნენ, ახლა კი ფეროელებიც შეემატნენ, რომლებმაც 361-დან 321-ე ადგილზე აინაცვლეს. ისე კი, ტოპ-350-ში „ამერი“ და „ვიტ ჯორჯიაც“ გვახსოვს.

რეიტინგს „მანჩესტერ იუნაიტედი“ სოლიდური ფორით ლიდერობს, მეორეზე კი საოცარია და, „გლაზგო რეინჯერსია“. აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ათეულში ოთხი კლუბი ინგლისურია.

1(1) მანჩესტერი	286
2 (4) რეინჯერსი	258,5
3 (2) ჩელსი	258
4 (3) ბაიერნი	252
5(5) ბარსელონა	251
6 (6) რომა	248
7 (7) ლივერპული	243
8 (8) არსენალი	237
9 (9) ბოკა ხუნიორსი	231
10(10) ინტერი	226
242 (242) დინამო	77
321 (361) ზესტაფონი	67

ილია ნანოგაჯვილი

მეინთეშა გმირი და მეინთეშა ანტიგმირი



ზურაბ მეინთეშაშვილმა

„ვენტსპილს“ — „ბრანის“ მატჩი გმირად დაიწყო და ანტიგმირად დაასრულა, თანაც ერთობ ნაადრევად. ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში ლატვიელებს სტუმრად 0:1 ჰქონდათ წაგებული და შინ უკვე მე-6 წუთზე გააბათილეს — მენთეშაშვილის გოლით.

თუმც მე-16 წუთზე საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა წითელი ბარათი მიიღო და გუნდი 10 კაცით დატოვა. „ვენტსპილსმა“ მაინც გაიტანა მეორე გოლი, მაგრამ მეორე ნახევრის დასაწყისში „ბრანმა“ ერთი საპასუხო და შემდეგ ეტაპზე გამსვლელი შეაგდო.

ლატვიის ჩემპიონატში კი ერთი ქართული გოლი გავიდა: „სკონტომ“ შინ „ოლიმპის“ 3:1 მოუგო და ვლადიმერ დვალიშვილმა შეაგდო. ლადომ ბოლო წუთზე პენალტით იხეირა, მთლიანობაში კი მეორე ტაიმი ითამაშა. რიგელთა მეორე ქართველმა დავით გამეზარდაშვილმა შეუცვლელად იბურთავა.

„დინაბურგში“ ახალგადასულმა პაატა დათუნაიშვილმაც სრულად ითამაშა „დაუგავასთან“ სტუმრად მოგებულ შეხვედრაში — 1:0. შეგახსენებთ, პაატამ სადებიუტო მატჩი გოლით აღნიშნა.

ილია ნანოგაჯვილი

ნორვეგია

ტიპელიგა. გადადებული მატჩები

ჰამ კამი 0:1 ტრომსიო
რუსენბორგი 1:2 სტაბეკი

I დივიზიონი. XVII ტური

ლოვ ჰამი 3:1 ნოტოდენი
ბრინი 0:1 ოდ გრენლანდი
ჰაუგესუნდი 2:0 სიოგნდალი
ჰიოდი 1:5 მოსი
ტრისილი 2:0 ალტა
სანდეფიორდი 2:0 სპარტა
სანდნესი 1:2 კონგსვინგერი

თასის მერვედფინალი

სტრიომსგოდსეტი 3:2 ვიკინგი

რუსეთი

თასის მეთექვსმეტელფინალი

სკა-ენერგია ს:დდ.(პენ.ს:4) *ამჟარი*
სიბირი 1:0 ზენიტი
გაზოვიკი 2:2 (3:5პ) კრილია
ანჟი 2:3 ტერეკი
კამაზი 1:5 ტომი
მეტალურგი 0:2 ლოკომოტივი
სკა 3:2 ხიმკი
ტორპედო (მ) 1:4 ცსკა
ვიტიაზი 2:1 ნალჩიკი
ვოლგა 1:1 (4:3პ) სატურნი
დინამო (ბრ) 1:2 სპარტაკი
ალანია 1:3 მოსკვა
სალიუტი 0:1 შინიკი
ბალტიკა 3:0 ლუჩ-ენერგია
ყუბანი 0:1 დინამო (მ)

იაპონია

თასის მეოთხელფინალი

საპასუხო მატჩები

ნაგოია 1:0 იჩიჰარა (1:0)
ოიტა 1:1 ტოკიო (2:1)
შიმიცუ 2:1 კაშიმა (0:0)
იოკოჰამა 2:1 *გამბა* (0:1)

ისლანდია

I დივიზიონი. XIV ტური

ბრეიდაბლიკი 1:1 რეიკიავიკი
ფრამი 2:0 აკრანესი
ჰაფნარფიორდური 2:0 თროტური
კეფლავიკი 3:2 კოპავოგური

დანია

სუპერლიგა

გადადებული მატჩი

ოდენსე 3:1 ნორდსიელანდი

ავსტრია

ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი

კერნტენი 0:2 შტურმი

ამხანაგური მატჩები

სპორტინგი 3:0 შარლეროა
ჰალი 2:1 უტრეხტი
ტურნუა 1:1 ლიერსი
ლომელი 1:1 როდა
ლეჩი 7:0 სენკური
ატალანტა 7:0 ვენეტო
ოუდ ევერლე 2:1 ვესტერლო
ბეერსხოტი 1:1 ნაიმეგენი
გენტი 1:2 ვალიადოლიდი
ჰადერსფილდი 1:2 არსენალი
სელტიკი 1:1 მანჩესტერ სიტი
ნიუკასლი 2:2 პსვ ეინდჰოვენი
მანჩესტერი 0:0 იუვენტუსი
რასინგი 3:2 ოლიმპიაკოსი
უდინეზე 1:3 პაოკ
მალაგა 1:3 ბილბაო
ალ აჰლი 0:3 რომა
ძაისერი 3:3 ბურსა
ლეიშოეში 1:0 რიუ ავე
სპარტა (რ) 1:2 ირაკლისი

შოტლანდია

ლიგის თასი. I ეტაპი

ისტ სტირლინგი 1:2 ლივინგსტონი
არბროთი 3:2 სტირლინგი
ეარი 2:1 ბერვიკი
ისტ ფაიფი 0:3 ბრეჩინი

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. II ტური

სლავია 1:0 პრეზიბრამი

შვეიცარია

სუპერლიგა. V ტური

ბელინცონა 1:1 აარაუ

ჰეპინი 2008

ქალები

E ჯგუფი. I ტური

არგენტინა 1:2 კანადა
ჩინეთი 2:1 შვედეთი

F ჯგუფი. I ტური

გერმანია 0:0 ბრაზილია
ჩრდ. კორეა 1:0 ნიგერია

G ჯგუფი

იაპონია 2:2 ახალი ზელანდია
ნორვეგია 2:0 აშშ

ჩემპიონთა ლიგა 2008-2009

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ბატე (ბელარუსი) 2:2 ანდერლეხტი (ბელგია) (2:1)
1:0 ბლიჟნიუკი (18), 1:1 ბილია (23პ), 2:1 როდიონოვი (83), 2:2 პოლაკი (86)
დინამო (უკრაინა) 2:2 დროჰედა (ირლანდია) (2:1)
1:0 ალიევი (13), 1:1 რობინსონი (41), 2:1 მილევსკი (73), 2:2 გარტლანდი (88)
რაპიდი (ავსტრია) 3:1 ანორთოსისი (კვიპროსი) (0:3)
0:1 ლაბანი (13), 1:1 ჰოფერი (21), 2:1, 3:1 მაიერჰოფერი (63, 66)
მოდრიჩა (ბოსნია) 1:2 ოლბორგი (დანია) (0:5)
0:1 დუე (15), 0:2 რისგერდი (62), 1:2 მოიჩი (71)
ბაზელი (შვეიცარია) 4:2 გიოტებორგი (შვედეთი) (1:1)
1:0 ვერნბლომი (19), 1:1 ბუგელი (26), 1:2 სიდერი (52), 2:2 ჩიპერფილდი (71), 3:2, 4:2 ეგრიჩი (84,90)
არტმედია (სლოვაკეთი) 4:2 ტამპერე (ფინეთი) (3:1)
1:0 კოზაკი (9პ), 2:0 პოსპეხი (35), 3:0 ბალენარი (45), 3:1 ჯეიმსი (71), 4:1 პიროშკა (78), 4:2 იელმი (79)
სპარტა (ჩეხეთი) 2:0 შერიფი (მოლდოვა) (1:0)
1:0 ვორიშეკი (45), 2:0 კულიჩი (48)
დინამო (ხორვატია) 3:2 დომჟალე (სლოვენია) (3:0)
1:0 ბისკანი (17), 1:1 ბრეკიჩი (29), 2:1 ჰრგოვიჩი (50), 2:2 ზეკი (81), 3:2 დრპიჩი (83)
მტკ (უნგრეთი) 0:5 ფენერბაჰჩე (თურქეთი) (0:2)
0:1, 0:2 შენთურქი (5,61), 0:3 ბელოზოლუ (66), 0:4, 0:5 შენთურქი (79, 81)
პარტიზანი (სერბეთი) 2:0 ინტერი (აზერბაიჯანი) (1:1)
1:0 ჯუკა (62), 2:0 დიარა (84)
ვისლა (პოლონეთი) 5:0 ბეითარი (ისრაელი) (1:2)
1:0 კანტორო (9), 2:0 კლებერი (25პ), 3:0 ბროჟეკი (36), 4:0 დიასი (56), 5:0 ნედვიელანი (88)

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

ანორთოსისი (კვიპროსი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
გიმარაეში (პორტუგალია) — ბაზელი (შვეიცარია)
შახტარი (უკრაინა) — დინამო (ხორვატია)
შალკე (გერმანია) — ატლეტიკო (ესპანეთი)
ოლბორგი (დანია) — კაუნასი (ლიტვა)
ბარსელონა (ესპანეთი) — ვისლა (პოლონეთი)
ლევსკი (ბულგარეთი) — ბატე (ბელარუსი)
სტანდარდი (ბელგია) — ლივერპული (ინგლისი)
პარტიზანი (სერბეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი)
ტვენტე (ჰოლანდია) — არსენალი (ინგლისი)
სპარტაკი (რუსეთი) — დინამო (უკრაინა)
იუვენტუსი (იტალია) — არტმედია (სლოვაკეთი)
ბრანი (ნორვეგია) — მარსელი (საფრანგეთი)
ფიორენტინა (იტალია) — სლავია (ჩეხეთი)
გალათასარაი (თურქეთი) — სტიაუა (რუმინეთი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — სპარტა (ჩეხეთი)

პირველი მატჩები გაიმართება 12-13 აგვისტოს, საპასუხოები — 26-27 აგვისტოს

ჩემპიონთა ლიგა 2008–2009

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

ნახევართამაში

თბილისი. 6 აგვისტო. 20.00 საათი. ეროვნული. 5 000 მაყურებელი

დინამო 0:0 პანათინაიკოსი

დინამო: ოვონო, თომაშვილი, კრშკო, ფირცხალავა, ხმალაძე, გველესიანი (ჯიშკარიანი 78), ნერგაძე (ჯუისი 67), ოდიკაძე, გ. კაშია, სპასოევიჩი (ვაწაძე 66), აკირემი სათადარიგონი: ლორია; ქანთარია, გუგავა, ქავთარაძე **მწვრთნელი:** რაინერ ცობელი	**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, მატოსი, ნინისი (ჟილბერტო 50), გუმასი, სალპინგიდისი, ხრისტოდოლოპულოსი (კარაგუნისი 74), სიმაო, ვინტრა, მანციოსი (რუკავინა 34), ნილსონი, სპიროპულოსი სათადარიგონი: მალარსი; სარიეგი, კლეიტონი, როდრიგესი **მწვრთნელი:** ჰენკ ტენ კატე

გაფრთხილება: გუმასი (43), ფირცხალავა (56), ჯუისი (85), ფირცხალავა (77)

გაძევება: ფირცხალავა (77)

მსაჯები: კრისტიან ბალაი; ზოლტან ცეკელი, მიკლოშ ნაგე; იშტვან კოვაჩი (ყველა რუმინეთი)

უეფას დელეგატი: არმენ მინასიანი (სომხეთი)
მსაჯთა დამკვირვებელი: იოჰან პანტსჩიკი (ავსტრია)

ჯორჯ აკირემს კარგი საგოლე მომენტები ჰქონდა

გაფრი კალიფორნიის ფოტო

კობა ინასარიძე

თავს ზემოთ ძალა არ არისო, ჭკვიანი კაცის ნათქვამია. საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ გუშინ ეროვნულ სტადიონზე ცდა არ დააკლო საბერძნეთის ჩემპიონის დამარცხებას, მაგრამ რაც გამოუვიდა, ოქმში წერია.

„დინამომ“ მოინდომა, იბრძოლა, კარგად ჩანდა, გუნდის ახალმა მწვრთნელმაც რაღაც-რაღაც ახალიც რომ ასწავლა, თუმცა მხოლოდ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმ „პანათინაიკოსის“ დასამარცხებლად, სადაც ჩემპიონთა ლიგაში ჭიპმოჭრილი და მსოფლიო დონის ფეხბურთელები თამაშობენ.

ბერძნებმა ეგებ თავი არც მოიკლეს და ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი საკვალიფიკაციო მატჩების წინ ძალები დაზოგეს, ეგებ ტენ კატეს მთლად უძლიერესი შემადგენლობაც არ დაუყენებია ათენში 3:0 მოგებული პირველი მატჩის შემხედვარე, მაგრამ რაც უნდა იყოს, გუშინდელი შეხვედრის შემდეგ დინამელთა ალალ გარჯაზე ენა მოგვტყდება და აუგს ვერ ვიტყვით.

...თბილისელთა თავკაცმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე თქვა, ვეცდებით, მეტოქეს სწრაფი გოლი გავუტანოთ და გარკვეული უპირატესობა დასაწყისშივე მოვიპოვოთო. თქვა ეს რაინერ ცობელმა და მისი გუნდი მისი ჩანაფიქრის „სისრულეში მოსაყვანად“ მართლაც ძალიან ახლოს იყო. „დინამოს“, რომელსაც ოთხი ფეხბურთელი სხვადასხვა მიზეზით აკლდა, მეტოქის ნოკდაუნში ჩავდება მატჩის დასაწყისიდან 20 წუთში შეეძლო, ოდნავ რომ გამართლებოდა...

— ისე, ძალიან კი მაინტერესებდა და სიამოვნებით შეეხედავდი ბერძნების სახეებს, ჩვენს ფეხბურთელებს ბოლო მომენტში იღბალიც რომ დაჰყოლოდათ — იტყვის ნამატჩევს რაინერ ცობელი და რაღა დავმალოთ და, ამ სიამოვნებაზე უარს არც ჩვენ ვიტყოდით.

მარჯვენა მცველის არყოფნაში ცობელმა ამ ფლანგზე ნახევარმცველი უჩა ფირცხალავა გაამწესა და ამით მერაბ კაშია-მილოშ კრშკო-გულვერდ თომაშვილის დაცვის ხაზი შეავსო. ოთხნი იყვნენ ჩვენები ნახევარდაცვაშიც, ოღონდ საკადრო დეფიციტის გამო პლეიმეიკერის გარეშე. წინ კი ჟორჟ აკირემი და ილია სპასოევიჩი იყვნენ.

პლეიმეიკერის პრობლემა ტყუილად როდი ვახსენეთ. „დინამოს“ მოედნის ცენტრში ბურთი კი „ეჭირა“, მაგრამ ისეთი პასები არ ჩანდა, როგორიც გამთამაშებელს მოეთხოვება. სამაგიეროდ, რამდენიმე ძალიან გონივრული და მწვავე პასი „დინამომ“ სწორედ უკანა ხაზიდან გააკეთა და მეტი წილი კაშიას ეკუთვნოდა. იყო დიაგონალური და პირით ხაზს გაყოლებული გრძელი, მცველებს უკან პასებიც, რის შემდეგაც მეტოქეს სანერვიულო არ აკლდებოდა.

პირველად კი ბერძნებს გოლი მე-10 წუთზე „ერგებოდათ“: დაცვის ხაზიდან გაკეთებული ერთი ასეთი პასი დავით ოდიკაძემ მიიღო, იქვე სიმაო ჩამოიშორა და საჯარიმოში ჩააწოდა. მეტოქე მცველები შეცდნენ, ბურთს ოლეგ გველესიანმაც გაასწრო, ყველგან მიტოვებული კი სპასოევიჩი დარჩა. გარდაუვალი გოლის მოლოდინი იყო, მაგრამ „დინამოს“ ჩერნოგორიელს „პანათინაიკოსის“ სლოვენიელმა მეკარემ აჯობა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. 20 წლის სპასოევიჩს იმ ეპიზოდში სწორედაც რომ გამოცდილება დააკლდა — არადა, საგოლედ უკეთეს მომენტს რას ინატრებდა?! იმ კუთხურსაც, რომელიც იმავ ოდიკაძემ ჩააწოდა, სპასოევიჩის თავური მოჰყვა, თუმცა ბურთს დასარტყმელად კარგად ვერ შესწვდა და ეს მომენტიც ქარმა და „პანამ“ ერთად წაიღეს.

კიდევ 10 წუთიც მიილია და უკვე გიორგი ნერგაძის თავურმა ააფორიაქა ბერძნები და ტრიბუნები. ესეც კუთხურიდან ოდიკაძის ჩაწოდებულს მოჰყვას და ეს დარტყმულიც გოლი ჩანდა — სამწუხაროდ ბურთმა ძელს ჩაუქროლა. ეს ის დროა, როცა „დინამოც“ უფრო დაიქოქა და ქომაგობა დაიმუხტა.

თამაში ჩვენებისაა, მეტოქე სულაც არ ჩანს უძლეველი, ცოტაც და, გოლი იქნება — გონებაში ერთთავად ეს აზრი ტრიალებს და უცებ... სილვას უხეში შეცდომა, აკირემი გუმასს საჯარიმოს ხაზთან ბურთზე თამაშს ასწრებს და უკნიდან სტუმართა მცველის გაშლილი ფეხი ჩანს. არბიტრმა „პანათინაიკოსის“ კაპიტანი უნდა გააძევოს... ბოლო იმედის ჯარიმა თუ არა, განზრახ უხეშად თამაშია — გუმასმა უკნიდან მოცელა „დინამოს“ ფორვარდი. რუმინელი ბალაის გადაწყვეტილებამ ბერძნების გარდა ყველა აღაშფოთა, გუმასს ყვითელი აკმარა. ის საჯარიმო ჩვენებს არ გამოუვიდათ, სამაგიეროდ, ქომაგებს გამოუვიდათ მსაჯის გინება, რაც იმ აშკარად საწითლო ეპიზოდის გამოძახილი იყო.

მოკლედ, შესვენებამდე „დინამომ“ კარგა მაგრად ანერვიულა „პანათინაიკოსი“ და ჩვენი ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი ყოფილი კანდიდატი ტენ კატე, ვინაც უკვე 34-ე წუთზე გააკეთა პირველი შეცვლა. იმიტომ გააკეთა, რომ „პანას“ ერთადერთი ფორვარდი ევანგელოს მანციოსი თავის საქმეს კარგად ვერ აკეთებდა და ვერც „დინამოს“ მცველებს უშლიდა ხელს ერთიმეორეზე ზუსტი და მწვავე პასების გაკეთებას.

მეორე შეცვლა ბერძნების მწვრთნელმა მეორე ტაიმის განახლებიდან ხუთ წუთში გააკეთა და გამოცდილ ჟილბერტო სილვას უხმო ახალბედა სოტირიუს ნინისის ნაცვლად. ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ ჟილბერტოს დამსახურებაა, მაგრამ მეორე ტაიმში სტუმრებმა უკვე სხვა ფეხბურთი ითამაშეს —— პრესინგი და სტუმრებმა ნელ-ნელა „დინამოს“ არაქათიც გამოაცალეს.

სათქმელია, რომ ბერძნებმა პირველად „დინამოს“ კარში მხოლოდ 62-ე წუთზე დაარტყეს. შესვენების შემდეგ საგოლე შანსები ჩვენებს კიდევ ჰქონდათ, მაგრამ ეგრეც არაფერი გამოუვიდათ.

პრესკონფერენციაზე კი ეს ითქვა:

ჰენკ ტენ კატე: დღევანდელი მატჩით ძალიან უკმაყოფილო ვარ. „პანათინაიკოსს“ გაცილებით უკეთ შეუძლია თამაში. „დინამო“ კი საპირისპიროდ, ჩემგან კომპლიმენტებს იმსახურებს, პირველ ტაიმში მასპინძლებმა აშკარად გვაჯობეს.

გუმასი გაძევებას იმსახურებდა თუ არა, ვერ გეტყვით, ის ეპიზოდი კარგად ვერ დავინახე.

„დინამო“ მართლაც კარგი და პერსპექტიული გუნდია და მსურს საქართველოს ჩემპიონობა ვუსურვო.

რაინერ ცობელი: მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავ. დღეს გამოჩნდა, რომ ჩვენსა და „პანათინაიკოსს“ შორის არც ისეთი სხვაობაა, როგორიც ათენური მატჩის შედეგმა აჩვენა. მსაჯებთან საპრეტენზიო არაფერი მაქვს, მით უმეტეს, აკირემთან დაკავშირებულ ეპიზოდზე მათ ვესაუბრე. ის ნაღდი მომენტები უნდა გამოგვეყენებინა.

ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, ასეთი კარგი ერთი ტაიმი ქართულ გუნდებს კარგა ხანია არ უთამაშია.

იღბალი და ცოტა გამჭრიახობაც დაგვაკლდა გოლის გასატანად, რაზეც მომავალში აუცილებლად ვიმუშავებთ. დაცვის ხაზმა ფაქტობრივად უშეცდომოდ ითამაშა და მთლიანად, ყველა ფეხბურთელის მადლობელი ვარ.

ერთი გამოცდილი ფორვარდი რომ გვყოლოდა, დღეს ჩვენთვის უკეთესი ანგარიშიც იქნებოდა.

მათე ვაწაძეს ბოლო დარტყმა არ გამოუვიდა

გაფრი კალიფორნიის ფოტო

ყენიას სულო დაგულო...



ლევან ყენიამ ძალიან მაგრად ჩაატარა ტესტ-მატჩი გერმანიის მესამე ლიგის „კეტჩთან“ — „ხუმარებმა“ 5:0 მოიგეს, ლევანი შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე, 55-ე წუთზე გოლი გაიტანა და მერე პეტერე ლოვენერანდს გაატანინა.

„შალკეს“ ფორუმზე მატჩის ონლაინ-რეპორტაჟში სამეორეტაიმო აღწერისას ყველა შეტევაში ყენიაა მოხსენიებული, „პატარა ჯადოქარიც“ უწოდეს.

რაც შეეხება ლევან კობიაშვილს, მან პირველი ტაიმი მარცხენა მცველად ითამაშა და მერე კრისტიან პანდერმა შეცვალა.

ილია ნანოგაშვილი

საქართველო: სამი ნაბიჯით, იარ!

ბოლო თვეში საქართველოს ნაკრებს თამაში არ ჰქონა, თუმც „ფიფა კოკა-კოლას“ რეიტინგში სამი საფეხურით წინ წაიწია — 89-დან 86-ზე აინაცვლა და 393 ქულა აქვს. ვნახოთ, რა სურათი იქნება მომდევნო თვეში...

რეიტინგის სათავეში, ევროპის ჩემპიონი ესპანეთია, გერმანიამ და იტალიამ მეორე-მესამე ადგილები გაცვალეს, ხოლო ბრაზილია, დახეთ, მეექვსე საფეხურზე ჩაქვეითდა.

ჩვენი შესარჩევი ჯგუფიდან კი საქართველო მხოლოდ ჩერნოგორიას უსწრებს.

ერთი სიტყვით, ახლანდელი 86-ე ადგილი შეგვიძლია, დავიმახსოვროთ და ექტორ რაულ კუპერს ათვლის წერტილად ჩავუთვალოთ.

ილია ნანოგაშვილი

1	(1)	ესპანეთი	1557
2	(3)	გერმანია	1343
3	(2)	იტალია	1320
4	(5)	ჰოლანდია	1229
5	(7)	ხორვატია	1282
6	(4)	ბრაზილია	1242
7	(6)	არგენტინა	1219
8	(8)	ჩეხეთი	1146
9	(9)	პორტუგალია	1122
10	(11)	რუსეთი	1023
17	(17)	ბულგარეთი	930
41	(41)	ირლანდია	666
62	(63)	კვიპროსი	503
86	(89)	საქართველო	393
143	(146)	ჩერნიოგორია	180

არ მიაკითხოთ გასარიგებლად!

ბადრი კეკელაძის ფოტო

მსაჯობა საერთოდ ძნელი პროფესიაა და მით უმეტეს, საქართველოში. ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი დიდი პრობლემა მსაჯობაა. შეუმცდარი არავინაა, მაგრამ მსაჯის შეცდომას დიდი დავიდარაბა მოჰყვება ხოლმე. ახალი ეროვნული ჩემპიონატი მალე დაიწყება და ქართველ მსაჯთან გასაუბრება უინტერესო არ უნდა იყოს. „სარბიელის“ კითხვებს ეროვნული კატეგორიის არბიტრი არსენ ნონიკაშვილი პასუხობს.

— რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?

— ბავშვობაში ფეხბურთზე დავდიოდი, ფეხბურთის წესებშიც გათვითცნობიერებული ვიყავი. ვინაიდან ფეხბურთს ვერ გავყევი და თან ძალიან მინდოდა ამ სპორტში დავრჩენილიყავი, ამიტომ გადავწყვიტე მსაჯობა. მიყვარს ეს პროფესია.

— რამდენი წელია მსაჯობთ?

— სრული ათი წელია. 1999 წლიდან.

— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს როგორ შეაფასებთ?

— რა თქმა უნდა, მრავლადაა პრობლემები. ჩემი აზრით, უპირველესი პრობლემები კი ინფრასტრუქტურის მოუწყობლობა და წამყვანი ფეხბურთელების მიგრაცია საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკში.

— გარიგებული თამაშები?

— ჩემგან გამორიცხულია! მაგრამ გუნდების მხრიდან შეიძლება ერთმანეთში შეთანხმება. ოღონდ ამაზე ლაპარაკი ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

— როგორ ფიქრობთ, ამ სეზონში ვის აქვს ჩემპიონობის ყველაზე დიდი შანსი?

— ჩემი აზრით, ჩემპიონობისთვის ტრადიციულად „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“ იბრძოლებენ. „ოლიმპიც“, რომელმაც არაერთი ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა ამ ზაფხულში.

— ახლახან ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა და ამ ჩემპიონატზე მსაჯობას როგორ შეაფასებთ?

— ვთვლი, რომ მსაჯებს ამ ჩემპიონატზე ისეთი შეცდომები არ დაუშვიათ, რომლებმაც მატჩების შედეგებზე იმოქმედა, თუმცა მცირე შეცდომები იყო, არის და იქნება.

— რომელია თქვენთვის სანიმუშო მსაჯი?

— ქართველებიდან — ლევან ფანიაშვილი. საერთოდ კი იტალიური სამსაჯო სკოლა მომწონს, ძველებიდან, პიერლუიჯი კოლინა და მოქმედი მსაჯებიდან რობერტო როსეტი.

— თქვენ ფუტსალში ეროვნულ ჩემპიონატის მატჩებსაც მსაჯობთ, უცხოეთშიც გიწვევენ. რა პრობლემებია ქართულ ფუტსალში?

— იგივე პრობლემებია, რაც დიდ ფეხბურთში. ამას დავუმატოთ ისიც, რომ, მხოლოდ ერთ მოედანზე, „ქარიშხალას“ დარბაზში ტარდება ჩემპიონატის მატჩები და ისიც ოთხ გუნდს შორის... ეს ბევრ რამეზე მეტყველებს.

— თუ გაქვთ დათვლილი, რამდენი წითელი ბარათი გაქვთ ნაჩვენები?

— საკმაოდ ბევრი და ცნობილი ფეხბურთელებიც გამიძევებია. ასევე, „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი — ანდრეი ჩერნიშოვი.

ნეკო ოსეფაიშვილი

ბადრი კეკელაძის ფოტო

ვის ჩააბარებენ ნოდარ ახალაცი და დმიტრი რამიშვილი თასს მაისში?

თასს წილი ეყარა

17 აგვისტოს დარჩება 8

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში საქართველოს თასის მერვედფინალის წილისყრა მოეწყო. წინა ეტაპი დასავლეთ-აღმოსავლეთ ზონებად იყო დაყოფილი, ახლა კი გაერთიანდა, მაგრამ განთესვა დარჩა.

გასული სეზონის შედეგების მიხედვით რვა საუკეთესო გუნდი განთესილებში მოხვდა, დანარჩენები, შესაბამისად, განუთესავებში.

განთესილები ესენი იყვნენ:

„დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“, „ოლიმპი“, „ამერი“, „სიონი“, „ლოკომოტივი“, „ცხინვალი“.

განუთესავები:

„ჭიათურა“, „მერანი“, „კოლხეთი“, „გურია“, „სამტრედია“, „ბაია“, „ჩიხურა“, „თბილისი“.

მერვედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

დინამო — თბილისი
ვიტ ჯორჯია — სამტრედია
ზესტაფონი — ჩიხურა
ოლიმპი — ბაია
ამერი — გურია
სიონი — კოლხეთი
ლოკომოტივი — ჭიათურა
სპარტაკი — მერანი

წყვილში პირველები პირველ მატჩს შინ, 8-10 აგვისტოს გამართავენ, საპასუხო შეხვედრები კი 16-17 აგვისტოს ჩატარდება.

მოგეხსენებათ, თბილისის „ვიტ ჯორჯია“ უეფას თასზე თამაშობს და პროფლიგამაც შეღავათი გაუწია — მათი საშინაო მატჩი 8 აგვისტოს დანიშნა, ამავე დღეს ითამაშებენ „ამერი“ და „გურიაც“, დანარჩენი თამაშები კი 9-10 აგვისტოს ჩატარდება. ამასთანავე, ვიტელთა გადაწყვეტილებით, ეს მატჩი საღამოს 19:30 საათზე, ხელოვნურ განათებაზე ჩატარდება — ისევე, როგორც „ვიტ ჯორჯიასა“ და „აუსტრიას“ საუეფასთასო შეხვედრა.

რაც შეეხებათ წყვილებს — თბილისის „დინამო“, ალბათ, ადვილად გაივლის „თბილისის“ ბარიერს, ძალიან ძნელი წარმოსადგენია, პირველლიგელებმა საქართველოს ჩემპიონებს ძვრა უყონ.

ვიტელები ამჟამად უეფას თასის მატჩებზე ფიქრობენ, 14 აგვისტოს ხომ ვენის „აუსტრიასთანაც“ ელით შეხლა. თუმც ახლა გარკვეული ხნით საქართველოს თასისკენ გადმორთვა მოუწევთ. ვიტელთა მეტოქე „სამტრედიაა“ და ვნახოთ, რა გამოუვათ კახა კალაძის თანაქალაქელებს ნესტორ მუმლაძის შეგირდებთან.

მერვედფინალში იმერული დერბიც გველის. თასის მფლობელი „ზესტაფონი“ საჩხერის „ჩიხურას“ გაეჯიბრება და თუ ზესტაფონელების თასისკენ მუდმივ ლტოლვას გავიხსენებთ, ზემოიმერლებს ორი უმძიმესი მატჩი ელით.

ახალი სეზონისთვის საგრძნობლად გაძლიერებულ რუსთავის „ოლიმპს“ ზუგდიდურ „ბაიასთან“ მოუწევს პაექრობა. ზუგდიდელთა ამბიცია კარგად არის ცნობილი და არ გვგონია, ადვილად დათმონ რამე. საქართველოს თასის ორგზის მფლობელ „ამერს“ კი თასის პირველი მფლობელი ლანჩხუთის „გურია“ ერგო. თბილისელთა დღევანდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, დაძაბული ბრძოლა უნდა გამოვიდეს.

მოღონიერებული „სიონი“ კი ფოთის „კოლხეთს“ დაეტოლება. ზღვისპირელებმა უმაღლესიგელი ახალციხის „მესხეთი“ სენსაციურად დაამარცხეს და მერვედფინალში ღირსეულად გავიდნენ, ვნახოთ, რას მოახერხებენ „სიონთან“.

თბილისის „ლოკომოტივს“ შარშანდელივით ჭიათურაში მოუწევს ჩასვლა. წინა სეზონში მარგანეცის ქალაქის გუნდს „მაღაროელი“ ერქვა და თბილისელებს არასასიამოვნო მოგონება დაუტოვა — სტუმრად გიორგი კიკნაძის შეგირდებმა 0:3 წააგეს, შინ კი — 0:1.

ახალი „ჭიათურა“ საკმაოდ სახეცვლილია „მაღაროელთან“ შედარებით, თუმც „ლოკომოტივი“ იოლ გასეირნებას არ უნდა ელოდოს.

ბოლო წყვილი კი ასეთია: ცხინვალის „სპარტაკი“ და მარტვილის „მერანი“. მეოთხედფინალში გასვლის მეტი შანსი ცხინვალელებს აქვთ, თუმც ეს ფეხბურთია და, მოგეხსენებათ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ნუკრი ლოლაძე

საფეხბურთო ლეგენდები

გიორგი კაკაბაძე

ლეგენდა №58

ფეხბურთის მოცარტი

მატიას შინდელარი 30-იანი წლების ერთ-ერთი უკაშკაშესი ვარსკვლავი გახლდათ. იგი ავსტრიის ნაკრების, ცნობილი „ვუნდერტიმის“ ლიდერი და კაპიტანი იყო. სამწუხაროდ, ვენის „აუსტრიის“ ფორვარდმა ცხოვრება ტრაგიკულად დაასრულა დღემდე გაურკვეველ ვითარებაში.

მატეი, იგივე მატიას შინდელარი ჩეხური წარმოშობის იყო. 1903 წლის 10 თებერვალს იგი მჭედლის, იან შინდელარის ოჯახში დაიბადა, მისი დედა მარიე ნეე სვენგროვა გახლდათ. ისინი ავსტრიაში საცხოვრებლად 1905 წელს გადაბარგდნენ.

ფეხბურთის თამაში ვენის ქუჩებში დაიწყო, მერე ადგილობრივ „ჰერტაში“ ჩაირიცხა, ხოლო მთელი პროფესიული კარიერა (1924-1939) „აუსტრიაში“ გაატარა. ამ კლუბის რიგებში მან უამრავი გოლი გაიტანა და არაერთი ტიტულიც მოიგო.

ეროვნული ნაკრების ღირსება 43-ჯერ დაიცვა და 27 გოლი გაიტანა. მათ შორის იყო 1938 წლის 3 აპრილს გერმანიის ნაკრების კარში გატანილი მნიშვნელოვანი ბურთი, ავსტრიისა და გერანიის „გაერთიანებისადმი“ მიძღვნილ შეხვედრაში. ფაშისტების ჩანაფიქრით, ის მატჩი ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ...

პირველი 70 წუთის განმავლობაში ავსტრიელები მეტოქეს თამაშის საშუალებას აძლევდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც ვეღარ მოითმინეს და ორი გოლი გაუტანეს გერმანელებს. ეს კარლ სესტამ და შინდელარმა გააკეთეს, რომელმაც, გადმოცემის თანახმად, გამომწვევად იზეიმა გოლი ნაცისტების თვალწინ.

„ფეხბურთის მოცარტს“, როგორც შინდელარს ეძახდნენ, სასტიკად არ სურდა მშობლიური ქვეყნის დატოვება და გერმანიის სახელით თამაში. იგი ხან ასაკს იმიზეზებდა, ხანაც ტრავმებს. ამბობენ, ფაშისტები მას აშინებდნენ და ფეხბურთელზე სხვადასხვა გზებით ახდენდნენ ზეწოლას. მით უმეტეს, იმ გოლის მერე.

1939 წლის 23 იანვარს შინდელარი და მისი მეგობარი გოგონა კამილა კასტანიოლა ვენაში, თავიანთ სახლში გარდაცვლილები იპოვეს. უფრო სწორად, კასტანიოლა უგონოდ იყო, ჯერ კიდევ ცოცხალი, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. შინდელარი კი საკუთარ ლოგინზე გახდილი იწვა.

ავსტრიულმა გაზეთმა „კრონენ ციტუნგმა“ დაწერა, ყველაფერი მიუთითებს, რომ შინდელარი მოწამლეს, ეს კი, სავარაუდოდ, გერმანელების ნახელავი უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის, ამბობენ, შინდელარისა და მისი მეგობარი გოგონას ძარღვებში ებრაული სისხლიც ერიაო.

ოფიციალური ვერსია უბედური შემთხვევა, კერძოდ ნახშირბადის მონოოქსიდით მოწამვლაა, რაც, სავარაუდოდ, საკვამურის დეფექტურობამ გამოიწვია. ავსტრიელმა მწერალმა ფრიდრიხ ტორბერგმა ამ ამბავს წიგნიც კი მიუძღვნა. მისი ვერსიით, გერმანიის მიერ ავსტრიის დაპყრობით სასოწარკვეთილმა „ფეხბურთის მოცარტმა“ თავი მოიკლა.

მოგვიანებით გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში კი, შინდელარის მეგობარი ეგონ ულრიხი ამბობს, რომ ადგილობრივმა სამართალდამცავებმა თუ ექიმებმა ეს ფაქტი უბედურ შემთხვევად იმიტომ გაასაღეს, რომ „ფეხბურთის მოცარტი“, როგორც წესი და რიგია, ისე დაეკრძალათ და მისთვის პატივი მიეგოთ. შეგახსენებთ, რომ ფაშიტების წესის თანახმად, თუ ადამიანი თავს მოიკლავდა ან მას მოკლავდნენ, ნორმალურად არ დაიკრძალებოდა.

1999 წელს ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ შინდელარი XX საუკუნის ავსტრიის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. ერთი წლით ადრე კი იგი ავსტრიის საუკუნის სპორტსმენადაც აღიარეს.

ლეგენდა №59

ბოლო წუთების ამბავი

ფეხბურთში უამრავი შემთხვევა ყოფილა, როცა ამა თუ იმ მატჩის დასასრული ძალიან დრამატული გამომდგარა და ყველაფერი უკანასკნელ წამებზე გატანილ გოლს გადაეწყვიტა.

ერთ-ერთი ასეთი მატჩი შედგა ინგლისის ჩემპიონატის 1988-89 წლების სეზონის ბოლო ტურში, კერძოდ 1989 წლის 26 მაისს. ერთმანეთს „არსენალი“ და „ლივერპული“ ხვდებოდნენ, ლონდონელებს მხოლოდ ორი და მეტი ბურთის სხვაობით მოგება აძლევდათ ხელს, რათა ჩემპიონები გამხდარიყვნენ. სხვა შემთხვევაში კი ტიტულს მერსისაიდელები მოიპოვებდნენ.

ძირითადი დრო უკვე ამოწურული იყო და „არსენალი“ ოდენ 1:0-ს იგებდა, მაგრამ „მეთოფეების“ ნახევარმცველი მაიკლ ტომასი მეტოქის საჯარიმოში შევარდა, „ლივერპულის“ დაცვაა გააპო და ბურთი კარში მოათავსა. ეს გახლდათ საოცრად ემოციური და დრამატული მომენტი, ვისთვის სასახარულო, ვისთვის სამწუხარო...

ტომასმა გოლი მაშინ გაიტანა, როცა 91 წუთი და 22 წამი იყო გასული. ეს მისი კარიერის საუკეთესო მომენტი გახლავთ.

სხვათა შორის, 1991 წელს, „არსენალში“ გატარებული 7 წლის მერე, ტომასი სწორედ „ლივერპულში“ გადავიდა, სადაც 1998 წლამდე დარჩა და კარიერის დასრულების შემდეგ, მერსისაიდელთა ლეგენდების გუნდში თამაშობდა ხოლმე.

1967 წლის 24 აგვისტოს დაბადებული ტომასი ამჟამად ერთ-ერთი პირადი დაცვის სააგენტოს მფლობელია.

ამ დრამატულ და დაუვიწყარ მატჩზე კი მოგვიანებით ნიკ ჰორნბის წიგნის მიხედვით ფილმიც გადაიღეს.

ლეგენდა №60

ჩარლი პორბელი

1954 წლის 1 დეკემბერს დოსენჰაიმში დაბადებულმა კარლ-ჰაინც კორბელმა მთელი თავისი პროფესიული კარიერა ფრანკფურტის „აინტრახტს“ მიუძღვნა. 1974-1975 წლებში მან 6 მატჩი გერმანიის ნაკრებშიც ჩაატარა.

კორბელი „აინტრახტის“ ღირსებას 1972-1991 წებში იცავდა და ფრანკფურტელთა მაისურით ბუნდესლიგაში 602 მატჩი ჩაატარა, რაც გერმანიის ჩემპიონატის სარეკორდო მაჩვენებელია.

ჩარლის მიღწევასთან ახლოს, მოქმედი ფეხბურთელებიდან არცერთი არ არის.

ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე მანფრედ კალცია, „ჰამბურგის“ მაისურით ჩატარებული 581 მატჩით. მესამეზე კი მიუნხენის „ბაიერნის“ ლეგენდარული მეკარე ოლივერ კანი, ვინც კარიერა წლეულს, 27 მაისს დაასრულა. 1987-2008 წლებში „კარლსრუესა“ და „ბაიერნში“ თამაშისას მან ბუნდესლიგაში 557 მატჩი გამართა.

ბერი უქმეებს ელის

სავარაუდოდ, ამ კვირის ბოლოს „ასტონ ვილას“ ნახევარმცველი გარეთ ბერი ოფიციალურად გახდება „ლივერპულის“ ფეხბურთელი. ამჟამად მერსისაიდელები თავიანთი ამერიკელი მფლობელებისგან 18 მილიონი გირვანქის გადმორიცხვას ელოდებიან.

პარასკევს „ლივერპული“ რომის „ლაციოსთან“ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს და „წითლების“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ამ დროისთვს ბერი უკვე „ლივერპულის“ სრულუფლებიანი წევრი იქნება.

ალგიმანტას ლიუბინსკასი პოლიტიკაში მიდის

ლიტვის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალგიმანტას ლიუბინსკასი თანამდებობიდან გადადგა და ლიტვის პარლამენტში ბალოტირებას აპირებს.

„თუ პარლამენტში ამირჩევენ, შევეცდები, შემდგომშიც ფეხბურთის და მთლიანად სპორტის განვითარებისთვის ვიშრომო“ — თქვა 56 წლის სპეციალისტმა.

სევილიას დუშერი გაახსენდა

ლა კორუნიის „დეპორტივოში“ გამოსვლით ცნობილი ალდო დუშერი სანტანდერის „რასინგიდან“ სევილიაში“ გადავიდა. ხელშეკრულება 3 წელზეა გათვალისწინებული, „რასინგი“ კი არგენტინელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს მიიღებს. დუშერის კარგი თამაშის შემთხვევაში კი ანდალუსიელებს კიდევ მილიონის გადახდა მოუწევთ.

გასულ სეზონში დუშერმა სანტანდერელთა შემადგენლობაში 34 მატჩი ჩაატარა და ხუთჯერ გამოიჩინა თავი.

არკა დაშავდა

პრემიერლიგის „მიდლსბროს“ ნახევარმცველმა ხულიო არკამ „ჰიბერნიანთან“ ამხანაგური შეხვედრისას ტრავმა მიიღო. არგენტინელს უკვე ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება და ახლა აღდგენით კურსს გადის. სავარაუდოდ, არკა როტერდამის „სპარტასთან“ ამხანაგურ შეხვედრას და „ტოტენჰემთან“ პრემიერლიგის პირველ მატჩს გამოტოვებს.

კანუ პომპეიში რჩება

„პორტსმუთის“ თავდამსხმელმა ნვანკვო კანუმ კლუბთან ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„მიყვარს პორტსმუთი და მსურს, ამ კლუბის ნაწილი ვიყო. მოხარული ვარ, რომ ახალი ხელშეკრულება დავდე. მინდა, მადლობა გადავუხადო გულშემატკივრებს, ისინი პრემიერლიგაში საუკეთესონი არიან, მე-12 მოთამაშის როლს ასრულებენ, და, რა თქმა უნდა, ჰარი რედნაპს, მთავარ კაცს კლუბში, რომლის გულისთვისაც ყველა ფეხბურთელი მზადაა, ბოლომდე დადოს თავი“ — განაცხადა ნიგერიელმა.

საბლეს ბლექბერნი შეამოწმებს

ფრანგული „ლანსის“ ნახევარმცველი ჟულიენ საბლე ინგლისურ „ბლექბერნში“ შემოწმებაზე გაემგზავრება.

„ბლექბერნი“ შესანიშნავი შესაძლებლობაა. კლუბს ძალიან სურდა, ჩემი მიწვევა შემოწმებაზე და მინდა, ვალიარო, რომ ინგილსური ფეხბურთი ძალიან მომწონს“ — აღნიშნა ფრანგმა ფეხბურთელმა.

კოტეჯური ამბები

„ევერტონის“ ფორვარდი ენდრიუ ჯონსონი უახლოეს მომავალში, შესაძლოა, „ფულემის“ მოთამაშე გახდეს. „კოტეჯელები“ მზად არიან, მერსისაიდელებს მის სანაცვლოდ 13 მილიონი გირვანქა გადაუხადონ. ადრე ლივერპულელებმა „უიგანის“ 9-მილიონიანი წინადადება უარყვეს.

ამავე დროს გადაწყდა „ფულემიდან“ ალექსეი სმერტინის წასვლა, რის მიზეზადაც ლონდონელთა დამრიგებლის როი ჰოჯსონის პოლიტიკა სახელდება. ინგლისელი სპეციალისტის „შავ სიაში“ რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად რუსი ნახევარმცველიც მოხვდა.

კოლუმბიელი ბუქარესტში

ბუქარესტის „სტიაუამ“ ამერიკული „დალასიდან“ კოლუმბიელი ნახევარმცველი ხუან კრალოს ტოხა გადმოიყვანა. 28 წლის ფეხბურთელის ტრანსფერის ღირებულებამ 900 ათასი დოლარი შეადგინა. კოლუმბიელი იქამდე „ინდეპენდიენტესა“ და „რივერ პლეიტის“ ღირსებას იცავდა და რუმინული კლუბისგან წელიწადში 200 ათას ევროს მიიღებს.

თხების ახალი კაპიტანი

გერმანული „კიოლნის“ მთავარმა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა გუნდის ახალ კაპიტნად მცველი უმით ოზათი დანიშნა. ვიცეკაპიტანი კი კოლუმბიელი ფარიდ მონდრაგონი იქნება.

„უმითმა გუნდისგან პატივისცემა და აღიარება დაიმსახურა. მას შესწევს უნარი, რთულ სიტუაციებში სიმშვიდე შეინარჩუნოს“ — აღნიშნა დაუმმა.

არჩილ კოტბახიძე

ევერტონის ახალი ბოსი

ლივერპულის „ევერტონს“ რობერტ ელსტონის სახით ახალი პრეზიდენტი ჰყავს. მან ამ თანამდებობაზე კიტ უაინესი შეცვალა:

„სამ წელიწადზე მეტია, რაც რობერტი ჩვენთან მუშაობს და კლუბში შექმნილ სიტუაციაში კარგად ერკვევა“ — განაცხადა „ევერტონის“ მფლობელმა ბილი ქენრაიტმა.

კუზენს ინგლისში უნდა

გლაზგოს „რეინჯერსის“ თავდამსხმელი დანიელ კუზენი ინგლისში ან საფრანგეთში გადასვლას გეგმავს:

„იმედია, ამ ზაფხულს დავტოვებ კლუბს. იანვარში „რეინჯერსთან“ „ფულემი“ მართავდა მოლაპარაკებას, მაგრამ მაშინ ტრანსფერი ვერ განხორციელდა, შოტლანდიელმა გულშემატკივარმა კი გამაკრიტიკა. ჩემს მდგომარეობაშიც უნდა შეხვიდეთ, ინგლისურ პრემიერლიგაში გამოსვლა ჩემთვის შესანიშნავი შანსი იქნება“ — თქვა გაბონელმა ფეხბურთელმა.

კუზენით „ბლექბერნ რივერსი“ გამოთქვამს დაინტერესებას. შოტლანდიაში კი იგი ფრანგული „ლანსიდან“ გადაბარგდა.

ეტოო 12 აგვისტომდე გაირკვევა

12 აგვისტოს „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს ჩაატარებს და ამ დროისთვის კატალონიური გრანდის სპორტული დირექტორის ჩიკი ბეგირისტაინის განცხადებით, სამუელ ეტოოს მომავალი მანამდე უნდა გადაწყდეს: „უკიდურესი თარიღი 12 აგვისტოა. დრო მიდის, სატრანსფერო ფანჯარა კი მალე დაიხურება“ — დასძინა ბეგირისტაინმა.

შიტუ ბოლტონში?

ქვედალიგელი „უოტფორდის“ მცველი დენ შიტუ, შესაძლოა, „ბოლტონში“ გადაბარგდეს. სამშაბათს ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და ახლა პირადი კონტრაქტის დეტალების განსახილველად „უონდერერსის“ თავკაც გარი მეგსონს შეხვდება. ტრანსფერის ღირებულება, სავარაუდოდ, 2 მილიონ გირვანქას შეადგენს.

შვედი არაბებმა გადაიბირეს

შვედეთის ნაკრების ნახევარმცველი კრისტიან ვილჰელმსონი საუდის არაბეთის „ალ ჰილიალში“ გადავიდა. 28 წლის ფეხბურთელი ბოლოს „დეპორტივოს“ რიგებში ირიცხებოდა, იქამდე კი „ანდერლეხტის“, „ნანტის“, „რომასა“ და „ბოლტონის“ შემადგენლობაშიც უთამაშია. ვილჰელმსონის კონტრაქტი 2 წელზეა გათვალისწინებული და ამ პერიოდში იგი 3,6 მილიონ ევროს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ „ალ ჰილალი“ აზიური ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებულია.

სტივი საზარდულმა შეაწუხა

ნორვეგიულ „ვალერენგასთან“ ამხანაგური შეხვედრისას „ლივერპულის“ კაპიტანი სტივენ ჯერარდი 28-ე წუთზე შესაცვლელი გახდა. სტივენს შვეიცარიულ შეკრებაზე მიღებული საზარდულის ტრავმა გაუმიზეზდა. მერსისაიდელებმა კი ეს მატჩი 4:1 მოიგეს.

ჰალს ჯერ კიდევ აკლია

ინგლისური „ჰალ სიტის“ დამრიგებელი ფილ ბრაუნი იმედოვნებს, რომ ზაფხულის ბოლომდე „ვეფხვები“ კიდევ ერთი ფორვარდით გაძლიერდებიან:

„ალბათ, მაღალი კლასის ერთი-ორი ფეხბურთელი გვაკლია, თუმცა მოთამაშეებში უზარმაზარი თანხების გადახდას არ ვაპირებთ. წელიწადის ამ დროს ყველა გოლის გამტან ფორვარდს ეძებს, რაც მწვრთნელის ნერვებზე მოქმედებს, ამიტომ აუცილებელია კონცენტრაცია და სიმშვიდის შენარჩუნება“ — აღნიშნა ბრაუნმა.

სქოთებმა მსაჯები დაითანხმეს

შოტლანდიური პრემიერლიგის ხელმძღვანელობა არბიტრების პროფკავშირს მომავალ სეზონში ჰონორარებთან დაკავშირებით მოურიგდა. მსაჯები გაფიცვით იმუქრებოდნენ, თუ გასამრჯელო 575 გირვანქიდან 1 000 გირვანქამდე არ გაიზდებოდა. საბოლოოდ მხარეები 800 გირვანქაზე შეთანხმდნენ და პრემიერლიგის აღმასრულებელი დირექტორის იეინ ბლერის განცხადებით, შოტლანდიის ჩემპიონატი სტარტს ვადით გათვალისწინებულ დროს აიღებს.

ჩერნოგორიელი ფრიულიზე

იტალიურმა „უდინეზემ“ სოფიის ცსკა-დან მცველი ნიკოლა ვუიადინოვიჩი გადმოიყვანა, შეთანხმების ვადა და ფინანსური მხარე არ ხმაურდება. ამ ზახულს 22 წლის ჩერნოგორიელი „ვესტ ბრომვიჩში“ გადასვლასთან ახლოს იყო, თუმც მან ინგლისში მუშაობის უფლება ვერ მიიღო. გარდა ამისა, ფეხბურთელით პოლონური „ლეგია“ და მოსკოვის „სპარტაკი“ იყვნენ დაინტერესებული.

არჩილ კოტბახიძე

დეზები არ ხუმრობენ



ანდრეი არშავინი

როგორც ჩანს, მომავალ სეზონში „ტოტენჰემ ჰოთსპური“ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას აპირებს. ამ ზაფხულს „დეზები“ სატრანსფერო ბაზარზე განსაკუთრებულად აქტიურობენ. ამას წინათ ლონდონელებმა ერთი სერიოზული ტრანსფერი უკვე გაჩარხეს — „ბლექბერნიდან“ ალბიონელთა ერთ-ერთი იმედი 23 წლის დევიდ ბენტლი გადმოიყვანეს.

ამასთან, „სპურზი“ „უაით ჰართ ლეინზე“ ევრო 2008-ის მთავარ აღმოჩენას ანდრეი არშავინს ეპატიჟება, თუმც კლუბების ხელმძღვანელობა ტრანსფერის ფასზე ვერაფრით თანხმდება. უკანასკნელი ინფორმაციით, „ზენიტმა“ ფეხბურთელის ფასის დაკლებაზე უარი განაცხადა: „ტოტენჰემს“ ანდრეის 15,8 მილიონ გირვანქად შეძენა სურდა. ეს ფასი ჩვენ არ გვაწყობს. ახალ შემოთავაზებებს ველით“ — განაცხადა პეტერბურგელთა სპორტულმა დირექტორმა კონსტანტინ სარსანიამ.

„ტოტენჰემის“ დამრიგებელი ხუანდე რამოსი თავდასხმის ხაზის გაძლიერებასაც აპირებს, რომელიც რობი კინის „ლივერპულში“ გადაბარგების შემდეგ, საკმაოდ შესუსტებულად გამოიყურება. ესპანელმა სპეციალისტმა ამჯერად თავის თანამემამულეს დავიდ ვილიას დაადგა თვალი, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე 4 გატანილი გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა. თან ლონდონელები „ვალენსიას“ ვილიას სანაცვლოდ ინგლისის მასშტაბით სარეკორდო თანხას, 32 მილიონ ევროს სთავაზობენ ფეხბურთელისთვის კი კვირაში 100 ათასი ევროს გადახდაზე არიან თანახმა.

„დავიდს მოსწონს ლონდონი და ის ფეხბურთი, რომელსაც „ტოტენჰემი“ აჩვენებს. განსაკუთრებით, რამოსის მოსვლის შემდეგ. თუ „ვალენსია“ ლონდონელებისგან წინადადებას მიიღებს, ჩვენ მას სერიოზულად განვიხილავთ“ — აღნიშნა ვილიას აგენტმა ხოსე ლუის ტამარგომ.

ვილიას შეძენა ინგლისელებს ალბათ ძალიან გაუჭირდებათ, თუ გავითვალისწინებთ „ღამურების“ პრეზიდენტ ხუან სორინოს ამასწინანდელ განცხადებას, ვილია და სილვა არ იყიდებიანო.

„დეზების“ ხელმძღვანელობამ დაცვის ხაზიც არ დატოვა უყურადღებოდ. აქ მარჯვენა მცველის პოზიციაზე, ასევე 2008-ზე ნათამაშები, ხორვატი ვედრან ჩორლუკას კანდიდატურა განიხილება, რომელიც ამჟამად „მანჩესტერ სიტის“ შემადგენლობაში გამოდის. თუ ჩორლუკას ტრანსფერი შედგა, იგი უკვე მეორე ხორვატი იქნება, რომელიც ამ ზაფხულს „ტოტენჰემის“ რიგებში გადავა. მანამდე, ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე, ლონდონელებმა ზაგრების „დინამოდან“ ლუკა მოდრიჩი გადმოიყვანეს.

არჩილ კოტბახიძე

მოჩვენებითი სიმშვიდე

რანიერი VS მაურინიუ გაგრძელდება

ჟოზე მაურინიუსა და კლაუდიო რანიერის შორის სიტყვიერი ომი რომ გაჩაღდა, უკვე გაუწყეთ. მოთავე „იუვენტუსის“ მწვრთნელი გახლდათ და პორტუგალიელიც სიამოვნებით აჰყვა მას. მაურინიუმ რანიერის თითქმის 70 წლისაც კი უწოდა, არადა იტალიელი ოქტომბერში 57 წლის ხდება.

ახლა რანიერიმ ვითარების დამშვიდება გადაწყვიტა და მაურინიუმაც მხარი აუბა, მაგრამ რამდენ ხანს გასტანს ეს მოჩვენებითი სიმშვიდე, მომავალი გვაჩვენებს.

„ვფიქრობ, აჯობებს, ეს ბატალიები შევწყვიტოთ. ყველაფერი ნელნელა დავიწყებას მიეცემა, საფეხბურთო მატჩების დარად. ასეა თუ ისე, მაურინიუმ ყველას აჩვენა, თუ რას წარმოადგენს. მას ძალიან გაუჭირდება. პორტუგალიელი იმ კლუბს ჩაუდგა სათავეში, რომელსაც მოჯრით ორი სკუდეტო აქვს მოგებული და მომავალ სეზონში „ინტერისგან“ ყველა ტურნირში გამარჯვებას ელიან. თუმცა ჩემი ცხოვრების 70 წლის განმავლობაში ცოტა ჭკუა და სიბრძნე შევიძინე, ამიტომ, პირველი ვიქნები, ვინც მაურინიუს მიულოცავს, თუ ის წარმატებას მიაღწევს“ — თქვა რანიერიმ.

ჟოზე მაურინიუ: „ყველაფერი მარტივადაა — რანიერიმ ერთხელ ილაპარაკა ჩემზე და ბედნიერი იყო, მეორედ ილაპარაკა და კვლავ უპასუხოდ დარჩა, მერე მესამედ... მე მხოლოდ ერთხელ გავაკეთე კომენტარი და ცოტა გაბრაზდა. დამაკმაყოფილებს, თუ აქ მოვრჩებით, 3:1 იქნება მის სასარგებლოდ, მაგრამ ჩემი გოლი ლამაზი იყო. წაგება არავის უყვარს, მაგრამ ამჯერად მარცხს შევეგუები. ასეა თუ ისე, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „იუვენტუსისკენ“ ვიქნები“.

ამ დუელში იტალიურმა პრესამ რანიერის მხარე დაიჭირა. ეს გასაკვირი არცაა — ჯერ ერთი, იტალიელია და მერე მეორე, მაურინიუს ჟურნალისტებთან ტკბილი ურთიერთობა არ აქვს.

— მაისში პოლონეთში გამართული ბოლო სალიცენზიო ტურნირის შემდეგ მთლიანად ოლიმპიადაზე დავიწყეთ ფიქრი და წინასწარგანსაღვრული გეგმის მიხედვით ვემზადებით. ათდღიანი შეკრება გავიარეთ ბორჯომში ფიზიკური კონდიციების გასუმჯობესებლად და ამის მერე რუმინეთის საერთაშორისო ტურნირზე გამოვედით, სადაც ყველა ლიცენზიანტმა იჭიდავა გარდა ბესიკ გუჩაშვილისა (55 კგ). მას ლიცენზია ახალი აღებული ჰქონდა და მისი რუმინეთში წაყვანა საჭიროდ არ ჩავთვალეთ. გადავწყვიტე, რომ ჯობდა დაესვენა...

ამის მერე სომხეთში წახკაძორში გავაგრძელეთ ვარჯიში, სადაც სომხეთის ნაკრებთან ერთად იდეალურ პირობებში ვემზადებოდით და ნაყოფიერი შეკრება გამოგვივიდა.

— ნაკრები რუმინეთის საერთაშორისო ტურნირის მერე არსად გამოსულა. ეს ცუდი ხომ არ არის?

— ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა და ის, რომ საერთაშორისო ტურნირზე აღარ გვიჭიდავია უმნიშვნელო ამბავია. ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ჩვენ აქცენტი მოსამზადებელ ეტაპებზე გავაკეთეთ და სწორადაც მოვიქეცით.

— ახლა როგორ ფორმაში არიან ბიჭები?

— საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ, მაგრამ უკეთესადაც შეიძლებოდა. პატარ-პატარა ტრავმები ახლაცაა, რას ვიზამთ, სპორტია და ასეთ პრობლემებს ვერ გაექცევი. მოსამზადებელი ციკლის დროსაც იყო ტრავმები და ზოგიერთ მოჭიდავეს ბოლომდე ვერ ვტვირთავდით, რაც, ბუნებრივია, ხელს გვიშლიდა. როგორც ვთქვი, ყველაფრის გათვალისწინებით უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს, მით უმეტეს, ვარჯიშებში ყველაფერს დებდნენ. ისე, გამოცდილებაც არ აკლიათ, ოღონდ ეგ არის, რაც უფრო ახლოვდება ოლიმაინც ნერვიულობენ. ასეა, მაინც განსხვავებული ტურნირია, სხვა სპეციფიკა და დატვირთვა აქვს, მაგრამ ყველა პრობლემას უნდა მოვერიოთ და კარგად გამოვიდეთ.

— ოლიმპიადაზე ჩვენი მთავარი კონკურენტები ის ქვეყნები იქნებიან, ვინც აქამდეც მსოფლიოში ამინდს ქმნიდა?

— რუსეთი, თურქეთი... ასე ბევრ ქვეყანას ჩამოვთვლი. უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ძლიერი და სუსტი აღარ არის, ყველა სერიოზული მეტოქეა. რუსეთიდან ძალიან ბევრი მოჭიდავეა მოდებული მთელ მსოფლიოში, სხვადასხვა ქვეყნის მპიადა, სახელით გამოდიან და მაგრებიც არიან.

— ათენში „თავისუფლების" ნაკრები კარგად ნამდვილად ვერ გამოვიდა. ახლა რას ველოდოს?

— ათენში ვერ ვაჩვენეთ სათანადო შედეგი და დაკარგულის ანაზღაურებას პეკინში ვეცდებით. დიდი ხანია, ამისთვის ვემზადებით. ბიჭებიც მოუთმენლად ელიან თამაშების დაწყებას და მჯერა, არაფერს დაიშურებენ, კარგად რომ გამოვიდნენ. იმედი მაქვს, ყველაფერი საჩვენოდ წარიმართება და ქართველ გულშემატკივარს გავახარებთ.

ლეჭსო მაისურაძე

ქართველები ჩინურ სოფელში

ცოტაც და, პეკინის ოლიმპიური სოფელს 205 ქვეყნის 10 ათას 500სპორტსმენი შეავსებს, თუმც 15-მილიონიან პეკინს რამდენიმე ათელი ათასი სპორტსმენის მასპინძლობა რომ არ გაუჭირდება, ეს ცხადია.

ქართული დელეგაცია 35 ოლიმპიელით ჩავიდა პეკინში, უფრო ზუსტად, ჩვენები ეტაპობრივად მიემგზავრებიან ჩინეთში. 11 აგვისტოს კი თბილისიდან თავისუფალი სტილით მოჭიდავეები და მათი უფროსობა ჩაფრინდებიან და ამით დასრულდება ქართული „დესანტის" გადასხმა პეკინში.

ვინც უკვე ჩავიდა, იქაურ ჰავას და ოლიმპიურ სოფელს ნელ-ნელა უშინაურდება. ოლიმპიურ სოფელს რამდენიმე შესასვლელი აქვს, ერთ-ერთს კი აგერ, ფოტოზე ნახავთ, მეორე ფოტოზე ოლიმპიური სოფლის ერთ-ერთი ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსია, რომლის რამდენიმე სართული ქართულ დელეგეაციას უჭირავს. სანამ პეკინის ოლიმპიადა ოფიციალურად გაიხსნება, ჩვენებმა სოფელში სასეირნოდაც მოიცალეს. ჩვენი მედროშე რამაზ ნოზაძე ქუჩებში დადის. „კლასიკოსები" მანუჩარ კვირკველია და ლაშა გოგიტიძე კი პარკში ისვენებენ. სოფელში მთელი შემადგენლობით ჩავიდნენ ჩვენი ფეხბურთელები. გეორგია, საქა-რთველო და მათი მწვრთნელი, ბრაზილიელი როსინი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ერთად დაბინავდნენ ოლიმპიურ სოფელში.

ბოლოს კი ვთქვათ, რომ 35 ქართველი სპორტსმენიდან პეკინში უკვე 20 ოლიმპიელი ჩავიდა — ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე (მშვილდოსნობა); ლაშა გოგიტიძე, დავით ბედიანიძე, მანუჩარ კვირკველია, ბადრი ხასაია, რამაზ ნოზაძე (ბერძნ-რომაული სტილით ჭიდაობა); კახა ჟვანია, ნიკა იზორია (კრივი); ირაკლი რევიშვილი, ანა სალნიკოვა (ცურვა); დავით იკარიანი, მარიამ ქევხიშვიილ (მძლეოსნობა); ილია მაისურაძე, ლუბა გოლოვინა (ტანვარჯიში); გეორ-გია, საქა-რთველო (პლაჟის ფრენბურთი); ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა).

დღეს დილით, ქართული დელეგაციას ძალოსნები — სხვა ოფიციალური პირები შეუერთდებიან, 11 აგვისტოს კი, როგორც ვთქვით, ქართული დელეგაცია ბოლომდე შეივსება, როცა პეკინში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩავლენ.

ბაჩო სვანიძე

სპორტის დეპარტამენტის ფოტოები

ვარლამ დოლიძიაშვილის ფოტო

ჩვენი ჭაბუკები ფიზიკაში ჩაიჭრნენ

მიხეილ კობეშავიძე: ყველაფერი ჩემი ბრალია

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა უნგრეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე A დივიზიონის საგზური ვერ მოიპოვა და ჩვენი 18-წლამდელები მომავალ წელსაც ქვედა ეშელონში ითამაშებენ. არადა, ქართველი ჭაბუკები დიდი ამბიციით წავიდნენ დებრეცენში და როგორც მათი დამრიგებელი მიხეილ კობეშავიძე ახლა ამბობს, 18-წლამდელთა ნაკრები ჟურნალისტების გაპიარებულია...

— რეალურად ჩვენი ნაკრები არ არის ისეთი ძლიერი, როგორც ეს უნგრეთში წასვლამდე პრესაში დაიწერა. რაკი პერსპექტიული ბიჭები გვყავდა, ყველამ ჩათვალა, რომ B დივიზიონის ფავორიტები ვიქნებოდით...

— და რეალურად ხომ მართლაც პერსპექტიული ბიჭები გყავდათ შემადგენლობაში?!

— ბიჭები კი არიან პერსპექტიულები და არაერთი მაღალი დონის გუნდში თამაშობს, მაგრამ წარმატების მისაღწევად მხოლოდ ეს არ კმარა. თვენახევარში გუნდის გაკეთება, შეკრა და შეთამაშება ძნელია. მოსამზადებლად საკმარისი დრო არ გვქონდა, უფრო სწორად, მოთამაშეები სრულად თავიდანვე ვერ შევკრიბეთ.

— ესე იგი, სრულფასოვანი შეკრება ვერ გაიარეთ...

— შეკრება დროულად დაინიშნა და კალათბურთის ფედერაციამ პირობებიც კარგი შეგვიქმნა, მაგრამ რამდენიმე ლიდერმა დაიგვიანა და გუნდის სისტემაში ჩაჯდომა ვეღარ მოახერხა.

— ვისი ბრალია მათი დაგვიანება?

— ეს პრობლემა ზოგადია და კონკრეტულად რომელიმე მხარის დადანაშაულება არ იქნება მართებული. საქმე ითამაშია, რომ ეს ბიჭები უცხოეთში თამაშთან ერთად სწავლობენ კიდეც 17-18 წლის ახალგაზრდა საზღვარგარეთ რომაა, მას შესანიშნავი საშუალება ეძლევა, რომ მაღალი დონის განათლებაც მიიღოს. სეზონის დამთავრების შემდეგ რამდენიმეს კოლეჯში გამოცდები ჰქონდა ჩასაბარებელი და შეკრებაზეც ამის გამო ვერ ჩამოვიდა. ზოგიერთი უნგრეთში წასვლამდე 10 დღით ადრე შემოგვიერთდა, ზოგიც ცოტა ადრე და საბოლოოდ გუნდს ვერ მოერგო.

— ესე იგი, წარუმატებლობის მიზეზიც ეს იყო...

— შეუთამაშებლობაზე მეტად ჩვენ ფიზიკურ მომზადებაში ჩავიჭერით. ბიჭებმა პირველი 3 თამაში კიდევ კარგად ჩაატარეს, ამის, მერე კი ძალიან გაუჭირდათ. საბოლოოდ, მე-13 ადგილი დავიკავეთ, მაგრამ ჩვენს უკან დარჩენილი გუნდებიც კი გვჯობდნენ გამძლეობით. თუმც ისე არ გამიგოთ, რომ წარუმატებლობას მე ამ მიზეზებს ვაბრალებდე. რაც არ უნდა იყოს, როცა გუნდი აგებს, დამნაშავე მწვრთნელია და მინდა, B დივიზიონში ჩარჩენის პასუხისმგებლობა მხოლოდ მე საკუთარ თავზე ავიღო.

— რას ფიქრობთ სამომავლოდ?

— ხომ ვითამაშეთ B დივიზიონში, ხომ ვნახეთ, რა დონის გუნდები იყვნენ იქ და ამიტომაც ვთვლი, რომ ჩვენი ნაკრების ადგილი ჯერჯერობით ელიტაში არაა. ლოგიკურია, რომ საქართველოს ჭაბუკთა გუნდმა მომზადების ამ დონის გათვალისწინებით, B დივიზიონში ითამაშოს. თუ მომავალი წლისთვის კარგად მოვემზადებით, შანსია, რომ ელიტის საგზურიც მოვიპოვოთ.

ლექსო მაისურაძე

ფანცულაია ლიდერობს, გელაშვილი მისდევს

ქართველმა ლევან ფანცულაიამ სტამბოლში მოჭადრაკეთა ტურნირზე 7 ტურის მერე 6,5 ქულა დააგროვა და სომეხ ხაჩიკიანთან და თურქ ატალიკთან ერთად გალიდერდა.

მე-7 ტურში ფანცულაიამ ვალერიან გაფრინდაშვილს თეთრი ფიგურებით მოუგო. მე-4 ადგილზეა კიდევ ერთი ქართველი მერაბ გაგუნაშვილი, ვისაც 6 ქულა აქვს.

სხვათაგან თამარ ხმიადაშვილი მე-14 ადგილზეა, ბელა ხოტენაშვილი მე-17, თამარ ფურცელაძე 21-ე, თამარ წერეთელი 22-ე, თეონა მესხი 28-ე ნინო ბაციაშვილი 35-ე ანა გავაშელი 45-ე, ხოლო ნონა დათუაშვილი 96-ე პოზიციას იკავებს.

მოჭადრაკეები კიდევ ორ ტურს ითამაშებენ. თურქეთში სულ 385 სპორტსმენია, საპრიზო ფონდს კი 22 800 დოლარს გადაინაწილებენ. ჩემპიონი 5 ათასს მიიღებს, მეორე ადგილოსანი — 4 ათასს, ხოლო მესამეზე გასული 3 ათასს დაისაკუთრებს.

თუ თურქეთში ქართველი ლიდერთა მარაქაშია, საბერძნეთში საჭადრაკო ტურნირზე თამაზ გელაშვილმა ლიდერებთან სხვაობა ნახევარ ქულამდე შეამცირა. გელაშვილს 7 ტურის მერე 5 ქულა აქვს. 4,5 ქულით 25-ე ადგილზეა დავით მაღალაშვილი, დანარჩენი ქართველები კი ლიდერებს საგრძნობლად ჩამორჩებიან.

ლევან ფანცულაია

ლექსო მაისურაძე

ლაბაძის ერთეული ორი ქულაა

უზბეკეთის ქალაქ სამარყანდში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირზე ჩვენებურმა ირაკლი ლაბაძემ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოგებული სამი თამაშის შემდეგ ძირითად ბადეში ფრანგ ჟერემი ბლანდინთან პირველივე წრეში ვერაფერი გააწყო და 1:6, 8:6 დამარცხდა.

წყვილებში კი ლაბაძე რუს დენის მაცეკევიჩთან ერთად, მასპინძელთა დუეტს — იკრამოვსა და ხაიდაროვს დაუპირისპირდება. ლაბაძემ სამი ეტაპის გავლისთვის 2 სარეიტინგო ქულა მიიღო.

სამარყარნდის ტურნირის საპრიზო ფონდი კი 35 ათასი დოლარია.



ლექსო მაისურაძე

უიარაღოდ თავდამცველებმა მწვანე კონცხი დალაშქრეს

ოლეგ იაძე

საქართველოს სამბისტთა ეროვნული, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებთა პირველმა ნომრებმა მწვანე კონცხზე მოსამზადებელი შეკრება გაიარეს 2008 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. შეკრება 16-დღიანი იყო.

ოლეგ იაძის გაწვრთნილები ვარჯიშს ასკ-ის დარბაზში 19 აგვისტოდან გააგრძელებენ. ეს მეორე შეკრება იქნება და 3 ეტაპად დაიყოფა: ფიზიკური მომზადება კუს ტბაზე, ფეხბურთისა და კალათბურთის თამაში. ტექნიკური ვარჯიშები კი დარბაზში ჩატარდება.

10-14 ოქტომბერს ახალგაზრდებისა და ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატს უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი, ხოლო დიდების მსოფლიოს ჩემპიონატს 16-18 ნოემბერს სანკტ პეტერბურგი უმასპინძლებს.

ლექსო მაისურაძე

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს მოწვეულია სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესია.

სეოკ-ის ამჟამად მოქმედი წესდების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის დასახელება შეუძლია სეოკ-ის აღმასკომს, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებს თავიანთი არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით, ოლიმპიურ აკადემიას, სეოკ-ის მიერ აღიარებულ ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებებსა და ასოციაციებს, აგრეთვე გამონაკლისის შემთხვევაში სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში როგორც სპორტული კარიერის, ასევე მისი დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებული დამსახურების მქონე ცალკეულ ფიზიკურ პირებს.

სათანადოდ გაფორმებული განცხადება სეოკ-ის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის შესახებ იგზავნება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში საანგარიშო-საარჩევნო სესიის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე მაინც, ანუ არაუგვიანეს 2008 წლის 31 აგვისტომდე.

ვისაც პეკინი არ უნდა

კაცები

ლოს ანჯელესი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 450 000 დოლარი

პირველი წრე

დუშან ვემიჩი (სერბეთი) — სემ ვორბურგი (აშშ) 3:6 7:6 6:4; მარკ ფილჟელი (საფრანგეთი) — ზაკ ფლეიშმანი (აშშ) 6:3 6:0; დონალდ იანგმი (აშშ) — ტომი ჰაასი (8, გერმანია) 6:2 6:4; დენის გრეფელმაიერი (გერმანია) — ფაბიო ფონინი (იტალია) 6:4 6:2; უეინ ოდესნიკი (აშშ) — ბობი რეინოლდსი (აშშ) 4:6 6:1 6:4; კარლოს მოია (7, ესპანეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:2 1:6 7:6; ამირ დელიჩი (აშშ) — დუდი სელა (ისრაელი) 6:4 6:4; ანდრეა სტოპინი (იტალია) — იგორ კუნიცინი რუსეთი) 6:1 6:3; მარდი ფიში აშშ) — ალეხანდრო ფალა კოლუმბია) 6:2 6:2; ვინსენტ სპადეა (აშშ) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 6:3 3:6 6:3; ფლორენ სერა (საფრანგეთი) — ანდრეი გოლუბევი (ყაზახეთი) 6:4 6:1; მარატ საფინი (5, რუსეთი) — ჯონ აისნერი (აშშ) 6:3 6:4

ხვალ ოლიმპიადა იწყება და მარტო ჩოგბურთის კი არა, სპორტის ნებისმიერი სახეობის მოყვარულის ყურადღება უახლოეს დღეებში სწორედ პეკინისკენ იქნება მიპყრობილი. ამ აჟიოტაჟისა და მოლოდინის ფონზე ლოს ანჯელესში დაწყებულ ციცქნა ტურნირზე საუბარი ცოტა არ იყოს უაზრობა, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ეს მაინც ATP-ის დონის შეჯიბრია და აუცილებელია იქ დატრიალებულ ამბებს ერთი-ორი სიტყვით მაინც შევეხოთ.

მით უმეტეს, რომ კალიფორნიაში არცთუ ურიგო შემადგენლობაა თავმოყრილი — ნაწილობრივ იმიტომ, რომ ზოგიერთმა მეჩოგნემ თავად არ ისურვა ოლიმპიადაზე გამგზავრება და აშშ-ს ღია პირველობისთვის (რომელიც, სხვათა შორის, პეკინური თამაშების დასრულებისთანავე, 25 ავგისტოს დაიწყება) მომზადება არჩია აზიაში გადაფრენას, ზოგი კი თავისი ეროვნული ნაკრების რიგებში ვერ მოხვდა და უქმად ჯდომას ისევ თამაში ურჩევნია. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ენდი როდიკის, მარატ საფინისა და კარლოის მოიას სახით ლოს ანჯელესში მსოფლიოს სამი ექსპირველი ჩოგანი ითამაშებს, ტურნირი ურიგო საცქერი არ უნდა გამოდგეს.

ამ სამეულიდან გუშინ კორტზე მხოლოდ ორი ვიხილეთ — როდიკი რეიტინგში მაღალ ადგილს მაინც ინარჩუნებს და კალიფორნიაშიც პირველ ნომრადაა განთესილი, რის გამოც მხოლოდ მეორე წრიდან მოუწევს შეჯიბრში ჩართვა.

მოიამ და საფინმა კი უკვე მოსინჯეს ლოსანჯელესური კაუჩუკი და საკმაოდ წარმატებულადაც, რადგანაც მეორე წრეს ორივემ უწია. საფინმა დამაჯერებლად დასცა თავისზე აყლაყუდა მასპინძელი ჯონ აისნერი, რომელიც ორივე სეტში თითოჯერ დააბრეიკა და ეს საბოლოო წარმატებისთვის თავისუფლად იმყოფინა.

აი, მოიას კი მაგრად გაუჭირდა. თუმც სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ესპანელს მეტოქეც უფრო სერიოზული ჰყავდა ქსავიე მალისი სახით — ბელგიელმა არაფერი დაუთმო გამოცდილ ესპანელს და მხოლოდ გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზე გატყდა.

მოხდა პირველი სენსაციაც, როცა ახალგაზრდა მასპინძელმა დონალდ იანგმა ლოს ანჯელესში ისტორიულად კარგად მოთამაშე ტომი ჰაასი მიჩოგნა. 2004 და 2006 წლების ჩემპიონმა გერმანელმა უკბილოდ ითამაშა და დამსახურებულად წააგო. ერთ დროს ძალიან პერსპექტიულად მიჩნეული, მაგრამ ბოლო წლებში ერთ ადგილზე გაყინული იანგისთვის კი ეს უდავოდ კარიერის ყველაზე დასამახსოვრებელი გამარჯვებაა.

ძახა ლომაშვილი



ჯონ ფეიხი

ვადა გაფრთხილებთ!

ისევი პირი უჩანს, რომ პეკინის ოლიმპიადა გვარიანად სკანდალური იქნება. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა დოპინგის მომხმარებლებს, რის გამოც ჩინეთში არაერთი „ჭუჭყიანი“ სპორტსმენის გამოაშკარავებას ელიან.

ყველაზე მეტად, რომელმაც მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტო (WADA) აქტიურობს, რომელმაც მათ უკვე გააფრთხილა სპორსტემენები, რომ თავი შეიკავონ ყოველგვარი სტიმულატორის გამოყენებისგან, რადგანაც ამის დამალვის მინიმულური შანსიც არ ექნებათ.

„სპორტსმენებს პირდაპირ მოვუწოდებთ — მოეშვით ყოველგვარ თაღლითობას და ყველანაირი აკრძალული პრეპარატები სახლში დატოვეთ“ — განაცხადა WADA-ს მეთაურმა ჯონ ფეიხმა.

ანტისადოპინგო სამსახურმა იგივე მოთხოვნები წაუყენა სპორტის სახეობათა საერთაშორისო თუ ეროვნულ ფედერაციებს და მათ თავიანთ სპორტსმენთა შემოწმებისკენ მოუწოდა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ რამდენიმე ცნობილი სპორტსმენი თამაშების გარეთ დარჩა — ზოგის ჩინეთში წაყვანაზე თავად ეროვნულმა ფედერაციებმა თქვეს უარი, ზოგს კი ეს საერთაშორისო ფედერაციებმა აუკრძალეს.

„დოპინგსკანდალები ალბათ მაინც ბლომად იქნება, მაგრამ ჩვენმა პოლიტიკამ გაამართლა. ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ ძველებურად ბევრი აღარ გაუვიდოდათ და ნაკრებები საკმარისად გაცხრილეს. ბევრი მიხვდა, ერთი დოპინგსკანდალი ქვეყნის რეპუტაციას იმხელა ზიანს აყენებს, რომ შეიძლება, რამდენიმე მოგებული ოქროთიც ვერ ჩამოირეცხო. ასე რომ, ათლეტებს ჩვენი მოტივუების თითქმის არანაირი შანსი არ აქვთ. სწორედ ამიტომ ყველას ვაფრთხილებთ, თავი შეიკავონ, რადგანაც ეს დიდი სირცხვილი იქნება არა მარტო უშუალოდ მათთვის, არამედ მათი ოჯახებისა და ქვეყნებისთვისაც“ — ენად გაიკრიფა ფეიხი.

უკვე ცნობილია, რომ პეკინში 1000-ით მეტი დოპინგტესტი ჩატარდება, ვიდრე ათენში ოთხი წლის წინ. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ კი განაცხადა, რომ უამრავი გაფრთხილების მიუხედავად, მათი პროგნოზით 30-დან 40-მდე სპორტსმენი მაინც ჩავარდება დოპინგზე.

ძახა ლომაშვილი

ალფა რომეო და ტუგრიკები

ოლიმპიადის წინ ყველა ცდილობს თავისი სპორტსმენების გაქეზაბასა და დამატებითი მოტივაციის შექმნას. ჰოდა, ამას ყველა სხვადასხვანაირად აკეთებს.

მაგალითად, ბრიტანეთის სპორტის ფედერაცია იმ სპორტმენებს, რომლებიც ნებისმიერი ხარისხის მედალს მოიგებენ. 3-დან 5 000-მდე ფუნტ სტერლინგსა და ახალთახალ „ალფა-რომეოს“ დაპირდა. თანაც სპორტსმენებს თავად შეეძლებათ მანქანის მოდელის ამორჩევა.

ამას გარდა, თითოეული სახეობის ფედერაციას თავისი სპონსორები ჰყავს და სპორტსემენებს არც ისინი დაივიწყებენ. მაგალითად, ძიუდოისტთა შორის გამარჯვებული 20 000 ფუნტით შეივსებს ჯიბეს, ცურვაში ოქროს მომგები კი — 10 000 ფუნტით. ერთ-ერთი სპონსორი კი სპორტსმენებს შამპანურის დიდი ბოთლების ჩამორიგებას დაჰპირდა, რომლებიც იმ ფერში იქნება შეღებილი, რა მედალსაც მოიგებს ესა თუ ის სპორტსმენი.

სხვათა შორის, ბრიტანელები მედლების რაოდენობის მხრივ საერთო მერვე ადგილის დაკავებას აპირებენ. ეს თუ გამართლდა, მაშინ სპონსორებს გვარიანი ხარჯის გაღება მოუწევთ. ცნობისთვის, ათენში ბრიტანელები საერთო მე-10 ადგილზე გავიდნენ.

აი, მონღოლეთში კი პეკინში თავიანთი პირველი, ისტორიული ოქროს მოგებას ელიან და ვინც ამას შეძლებს, მისთვის 100 000 დოლარის მიცემას არ დაიშურებენ,. თან მონღოლები იმედიანად არიან, რომ ნავსს სწორედ ახლა გატეხენ — თურმე ამდაგვარი მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა ოლიმპიადაზე მათ მოსკოვის 1980 წლის თამაშების მერე არ ჰყოლიათ.

მონღოლები ოქროს ძირითადად ოთხი სახეობიდან — კრივიდან, ძიუდოდან, თავისუფალი ჭიდაობიდან და სროლიდან ელიან.

„პეკინში მართლაც დიდი მიზნებით მივდივართ. გვგონია, რომ ჩვენი დროც მივიდა, ხოლო ის, ვინც ოქროს მოიგებს, ამ 100 000-ის გარდა სხვადახვა სპონსორებიდან კიდევ დამატებით საპრიზოს აუცილებლად დაისაკუთრებს. რაც მთავარია, მას ეროვნულ გმირადაც შერაცხავენ“ — ამბობს მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ძიუდოში ცენდ დამდინი და თანამემამულეებს ბლომად ტუგრიკებს პირდება.

ძახა ლომაშვილი

ნადალი ოქროს უმიზნებს

რაფაელ ნადალმა წლეულს ალბათ უკვე გააკეთა იმაზე მეტი, რასაც გეგმავდა ან რაზეც ოცნებობდა — უიმბლდონი მოიგო და ინგლისში როჯერ ფედერერის ხუთწლიანი დომინირება დაამხო. სულ ახლახან კი ესპანელმა შვეიცარიელი სამეფო ტახტიდანაც გადმოაგდო და მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი ჩამოართვა. მართალია, ეს ოფიციალურად ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს უკვე შეუქცევადი პროცესია და 18 ავგისტოს ესპანელი აუცილებლად მოექცევა რეიტინგის სათავეში. ამიტომ ამაზე, როგორც უკვე მომხდარზე საუბარი თავისუფლად შეიძლება.

რაფა კი მიღწეულით მაინც არ კმაყოფილდება და ძალიან უნდა თავისი ჰრიზების უკვე ისედაც სოლიდურ კოლექციას ოლიმპიური ოქროს ელვარებაც შემატოს.

ნადალის ბოლოდროინდელი ფორმიდან გამომდინარე, ეს მიუღწეველი ნამდვილად არ არის — ესპანელი პეკინური ოქროს ერთ-ერთი ურეალურესი პრეტენდენტია. სწორედ ამიტომ 13-საათიანი მომქანცველი ფრენის შემდეგ ჩინეთის დედაქალაქში ჩასულ ესპანელს აეროპორტშივე ჟურნალისტთა ბატალიონი დახვდა.

„ოლიმპიადის ატმოსფეროთი დატკბობას ვაპირებ. რა თქმა უნდა შევეცდები, ოქრო მოვიგო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სხვებიც ასეთივე მიზნით არიან აქ ჩამოსულნი. ასე რომ, იოლი არაფერი იქნება, თუმც შენი ქვეყნის წარმოდგენა და მისი სახელის დაცვა ყოველთვის საპატიოა“ — სტანდარტული ფრაზებით შემოიფარგლა ესპანელი.



რაფას ერთადერთ სერიოზულ პრობლემად შეიძლება, მხოლოდ მისი გადაღლილობა იქცეს. ნადალი წლეულს ძალიან მჭიდრო გრაფიკით თამაშობს, უკვე 72 მატჩის გამართვა მოასწრო და ცინცინატის მასტერსზეც გამოჩნდა, რომ ტონუსში ვერ იყო. თუმც თავად მალიორკელს ეჭვი არ ეპარება, რომ ფორმაში მალე ჩადგება.

„3-4 დღე და ყველაფერი რიგზე იქნება“ — განაცხადა რაფამ თავისი პირველი პეკინური ვარჯიშის შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური საჩოგბურთიო ტურნირი 10 აგვსიტოს დაიწყება და ერთ კვირას გასტანს.

ძახა ლომაშვილი

სასტრე ვამპირების ხელში

ესპანელები პეკინში გამარჯვებას გეგმავენ

კარლოს სასტრე

წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ ტრიუმფატორი კარლოს სასტრე, შარშანდელი „ტურისა“ და წლევანდელი „ჯირო დიტალიას“ გამარჯვებული ალბერტო კონტადორი, ჯგუფურ რბოლაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და ახლახან დასრულებული „ტურის“ საუკეთესო სპრინტერი ოსკარ ფრეირე, მიმდინარე პრო-ტურის სერიის ლიდერი ალეხანდრო ვალვერდე და სამეულ საჩჩესი, რომელმაც ფრანგული სუპერრბოლა მეშვიდე ადგილზე დასრულა — აი, ასეთი მრბოლები დაიცავენ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ესპანეთის ღირსებას და ბუნებრივია, რომ ისინი მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობენ.

ესპანელი ველოსიპედისტები ორიოდე დღის წინ ჩაფრინდნენ პეკინში და ჯერ ნორმალურად ჩასულებიც კი არ იყვნენ, რომ სასტრე ეგრევე დოპინგ-ტესტზე გააქანეს. „ჩვენ ველოსიპედისტები ვართ და ამგვარი რამეები არ გვიკვირს. ვადა-ს (მსოფლიო ანტისადოპინგო საააგენტო) „ვამპირები“ ჩვენს ამქარს განსაკუთრებით ემტერებიან“ — განაცხადა სასტრემ. სანამ „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულს დოპინგ-ტესტს უტარებდნენ, სხვა ესპანელმა ველომრბოლებმა პრესკონფერენცია გამართეს და ერთხმად განაცხადეს, რომ პირად ამბიციებს გვერდზე გადადებენ და ყველაფერს გაკეთებენ საიმისოდ, რათა ერთ-ერთმა მათგანმა ჯგუფური რბოლა მოიგოს.

ესპანელები, სავარაუდოდ, აქცენტს ვალვერდესა და ფრეირეზე გაკეთებენ. პირველ რიგში ისინი შეეცდებიან, რომ ვალვერდემ ძირითადი მასიდან გაქცევა მოახერხოს და მერე მასთან ერთად გაქცეულებს აჯობოს, ხოლო თუ ასე არ გამოვა და ჯგუფური ფინიში იქნება, მაშინ ესპანელები, უკვე ფრეირეს შეუქმნიან წარმატებული სპურტისთვის პლაცდარმს.

რაც შეეხება ინდივიდუალურ რბოლას, იქ პირინეელთა მთავარი იმედი კონტადორი იქნება. ესპანელთა აზრით, ჯგუფურ რბოლაში მათი უმთავრესი კონკურენტები იტალიელი და ლუქსემბურგელი ველოსიპედისტები იქნებიან, ხოლო ინდივიდუალურ რბოლაში გერმანელ შტეფან შუმახერსა და რუს დენის მენშოვს უფრთხიან.

კავენდიში ორ ოქროზე ფიქრობს

თანამედროვე ველოპელეტონის, ალბათ საუკეთესო სპრინტერი, წლევანდელ „ჯირო დიტალიაზე“ ორი, ხოლო „ტურ დე ფრანსზე“ ოთხი ეტაპის მომგები ბრიტანელი მარკ კავენდიში პეკინის თამაშებზე ორი ოქროს მედლის მოპოვებას გეგმავს.

იმისთვის, რომ ოლიმპიადისთვის კარგად მომზადებულიყო, კავენდიშმა ახლახან დასრულებული „ტურ დე ფრანსი“ ბოლომდე არ ჩაამთავრა და მეოთხმეტე ეტაპის შემდეგ მიატოვა. ამ დროისთვის 23 წლის ინგლისელს უკვე ოთხი ეტაპი ჰქონდა მოგებული და საუკეთესო სპრინტერისთვის განკუთვნილი მწვანე მაისურას მოგების ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ მარკმა ამაზე ფიქრი სამომავლოდ გადადო და მთელი ყურადღება ოლიმპიურ თამაშებზე გადაიტანა.

თანაც, საინტერესოა და კავენდიში პეკინში, არა საგზატკეცილო რბოლაზე, არამედ ტრეკზე აკეთებს აქცენტს და მედისონსა (სატრეკო ველორბოლის ერთ-ერთი სახეობა) და ინდივიდუალურ გამოდევნებაში აპირებს გამოსვლას. ოღონდაც, თუ მედისონში მარკს ნაკრებში ადგილი გარანტირებული აქვს, იმავეს ვერ ვიტყვით ინდივიდუალურ გამოდევნებაზე, რომელშიც ბრიტანელებს სხვა ძლიერი მრბოლებიც ჰყავთ. თუ ისე მოხდა, რომ კავენდიშს ტრეკზე მხოლოდ მედისონში მისცემენ გამოსვლის უფლებას, მაშინ ის გზატკეცილზეც გადაერთვება და ჯგუფურ რბოლაში შეეცდება წარმატების მიღწევას.

ევანსი საეჭვოა, კუნეგო არ იქნება

ბოლო ორი „ტურ დე ფრანსის“ მეორე პრიზიორის, ავსტრალიელი კედელ ევანსის მონაწილეობა პეკინის ოლიმპიურ თამაშებში ჯერაც საეჭვოა. ეგ კი არა, რამდენიმე დღის წინ კატეგორიულად ამბობდნენ, ევანსი ჩინეთში ვერ წავაო. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ „ტურის“ დასრულების შემდეგ, პარიზში დარჩენილ ავსტრალიელს ერთ-ერთ იქაურ კაფეში სველ იატაკზე ფეხი გაუსრიალდა, დაეცა და მუხლი იტკინა.

კედელ ევანსი

ტრავმა თითქოს სერიოზული არ იყო, მაგრამ კედელმა დაზღვევის მიზნით განაცხადა, პეკინში ვერ წავალო, თუმც მოგვიანებით აზრი შეიცვალა. „ყოველდღიურად გავიდავარ ფიზიოპროცედურებს და მუხლი თითქმის აღარ მტკივა. თუ ფორმაში შესვლას მოვასწრებ, აუცილებლად წავალ პეკინში. ოღონდაც, იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებისთვის ბრძოლის შანსი მექნება. მხოლოდ მონაწილეობისთვის ჩინეთში ჩასვლას აზრი არ აქვს“ — განაცხადა ევანსმა.

ამასობაში გაირკვა, რომ პეკინის ოლიმპიადას ნაღდად გამოტოვებს „ჯირო დიტალიას“ 2004 წლის გამარჯვებული დამიანო კუნეგო. ამის მიზეზი ის ტრავმაა, რომელიც იტალიელმა მრბოლმა წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“ მიიღო. „ტურის“ ერთ-ერთ ეტაპზე კუნეგო დაეცა და სერიოზულად დაშავდა. მართალია, მან შეძლო ფრანგული სუპერრბოლის ბოლომდე გავლა, მაგრამ გასულ შაბათს, სან სებასტიანის ერთდღიანი კლასიკური რბოლის დროს ტრავმა გაუმიზეზდა და პეკინისკენ მიმავალ მატარებელს შორიდან დაუქნია ხელი.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას ვერც თანამედროვე ველოპელოტონის ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი, ნორვეგიელი ტორ ჰუსჰოვდი მიიღებს, რომელმაც ბრძანა, „ტურ დე ფრანსი“ ტკივილდამყუჩებლებით გავიარე, საშინლად დაღლილი ვარ და მიუხედავად ჩემი უდიდესი სურვილისა, ექიმის რჩევას ვითვალისწინებ და პეკინში წასვლაზე უარს ვამბობო.

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი


ტიმო გლოკი

წარმოუდგენელი და ფანტასტიკური

გასულ კვირას „ჰუნგარორინგზე“ გამართული უნგრეთის დიდი პრიზი ბევრი რამით იყო ღირსშესანიშნავი. მთავარი გმირი, რა თქმა უნდა, „მაკლარენ-მერსედესის“ ფინელი პილოტი ჰეიკი კოვალაინენი იყო, რომელიც ფორმულა 1-ის ისტორიაში დიდი პრიზის მომგები მეასე მრბოლი გახდა. თუმც ჰეიკიზე არანაკლები გმირობა ჩაიდინა „ტოიოტას“ გერმანელმა მრბოლმა ტიმო გლოკმა და დიდებული რბოლის შემდეგ კარიერაში პირველად შედგა პოდიუმზე.

სადღეისოდ „მაკლარენსა“ და „ტოიოტას“ შორის უზარმაზარი სხვაობაა, ეგ კი არა, ინგლისურ-გერმანულის გარდა, იაპონური საჯინიბო „ფერარისა“ და „BMW-ზაუბერსაც“ ბევრით ჩამორჩება და ამ ფონზე გლოკის მეორე ადგილი ნამდვილი მიღწევაა.

„წარმოუდგენელი განცდაა — თქვა ტიმომ რბოლის შემდეგ — როდესაც დავინახე, რომ ფილიპე მასას „ფერარის“ ძრავამ ბოლი გაუშვა, ბოლომდე ვერც კი გავითავისე, რომ მეორე შედეგზე მივდიოდი. ფაქტობრივად, პირველ სრულფასოვან სეზონს ვატარებ ფორმულა 1-ში და ეგრევე პოდიუმზე შედგომა, ნამდვილი ფანტასტიკაა. ამისთვის მთელ გუნდს, ინჟინრებს, მექანიკოსებს, ყველა თანამშრომელს დიდ მადლობას ვუხდი. რა თქმა უნდა ვხედავდი, რომ კიმი რაიკონენი კუდში მომდევდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ „ჰუნგარორინგზე“ გასწრება ძალიან ძნელია. მთავარი იყო შეცდომა არ დამეშვა და ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი ასე კარგად დასრულდა“.

„ჰუნგარორინგზე“ გლოკის გარდა, „ტოიოტას“ მეორე მრბოლი, მრავალნაცადი იტალიელი იარნო ტრულიც გამოირჩა, რომელმაც მეშვიდემ უწია ფინიშს და პირად და გუნდურ აქტივს ორი ქულა შემატა.

„მშვენიერი დღე იყო ჩვენი გუნდისთვის. 10 ქულა, რომელიც უნგრეთში მოვიპოვეთ, იდეალური ვარიანტია. ძალიან გახარებული ვარ ტიმოს გამო. მან მშვენიერი სარბოლო უიქენდი ჩაატარა და აბსოლუტურად დაიმსახურა ეს შედეგი“ — განაცხადა ტრულიმ.

ძახა ლომაძე

ასე არ შეიძლება

ოთხი ეტაპის წინ, ანუ რობერტ კუბიცას მიერ მოგებული კანადის დიდი პრიზის შემდეგ თავად კუბიცა გენერალურ კლასიფიკაციას თავში მოექცა, ხოლო „BMW-ზაუბერი“ კონსტრუქტორთა თასზე ლიდერ „ფერარის“ კუდზე დააჯდა და კიდევ ერთ ფავორიტ „მაკლარენ-მერსედესს“ მეორე ადგილისთვის ბრძოლაში გვარიანად გაუსწრო.

გავიდა ეს ოთხი — ფრანგული, ბრიტანული, გერმანული, უნგრული — ეტაპი და კუბიცა პირველი ადგილიდან მეოთხეზე დაქვეითდა, ხოლო გუნდურ ჩათვლაში გერმანელები „ფერარის“ გარდა „მაკლარენსაც“ ჩამორჩნენ.

ბოლო ეტაპებზე და განსაკუთრებით უნგრეთში, „BMW-ზაუბერი“ მართლაც სუსტად გამოიყურებოდა და რაც ყველაზე საწყენია, კუბიცასა და მისი გერმანელი თანაგუნდელის ნიკ ჰაიდფელდის ბოლიდებმა თითქოს სისწრაფე დაკარგეს. გუნდის შეფი მარიო ტაისენი სწორედ ამიტომ არის შეშფოთებული: „უნდა გავერკვეთ, რაშია პრობლემა, უნგრეთში მხოლოდ ერთი ქულა გავაკეთეთ და ეს ჩვენს დონეს არ შეესაბამება. ჩვენი სისწრაფე, უფრო სწორად კი დაბალი სიჩქარე, ნამდვილად ცუდი სიურპრიზი იყო. ვფიქრობ, ამის მიზეზი საბურავებია, მაგრამ ყველაფერში დეტალურად გარკვევაა საჭირო. ყოველ შემთხვევაში, ასე გაგრძელება არ შეიძლება, ეს დონე ჩვენ არ გვაკმაყოფილებს“

ძახა ლომაძე



ცურვა — ცოცხალი სპორტი

ცურვა სპორტის ის სახეობაა, რომელშიც რეკორდები გაცივებას ვერ ასწრებენ. შეიძლება მავანმა ხელფარფლა მოცურავემ რაიმე დისტანცია სარეკორდო დროშა გაცუროს, მაგრამ გავა ერთი დღე, გამოხტება სადმე მყუდრო აუზში რუდუნებით ნავარჯიშები სხვა მოცერავე, შეიძლება ნაკლებცნობილიც კი, რომელიც მას რეკორდს მოუხსნის.

32 ოლიმპიური დისციპლინიდან (16-16 ქალ-ვაჟებში) 13-ში წლეულს დამყარდა რეკორდი, ზოგიერთში ორჯერაც კი. მაგალითად, ფრანგმა ალან ბერნარმა ეინდჰოვენში ერთი დღის ინტერვალში 50 და 100 თავისუფალ მეტრზე ზედიზედ ორჯერ გაუმჯობესა ყველა დროის საუკეთესო შედეგი, მაგრამ ორიოდ დღეში ავსტრალიის ჩემპიონატზე იმონ სალივანმა 50 მეტრი მასზე (და ყველაზე) სწრაფად იცურა. მეტიც, ამერიკელმა ელენ მაკგრეგორიმ 100 მეტრში გულაღმა ცურვაში ხომ დაამყარა რეკორდი ამერიკის ჩემპიონატის წინასწარ ეტაპზე, მაგრამ ერთი დღის შემდეგ იმავე ჩემპიონატში, იმავე აუზში, ოღონდ ფინალურ გაცურვაში ნატალი კულინმა მოუხსნა. მაიკლ ფელპსი თვითონ აუმჯობესებდა ხოლმე ერთი დღის წინ დამყარებულ თავისსავე რეკორდებს, მაგრამ წლეულს აღარ ჩაუდენია ეს გმირობა. ჩანს, ცოტა რამ ოლიმპიადისთვისაც შემოინახა.

და ვინმეს ეეჭვება, რომ პეკინში მსოფლიოს უძლიერეს მოცურავეთა ქარავანი ურეკორდოდ ჩაივლის?

მსოფლიო რეკორდები

კაცები

50 მ თავისუფალი	21,28	იმონ სალივანი (ავსტრალია)	28.03.2008	სიდნეი
100 მ თავისუფალი	47,50	ალან ბერნარი (საფრანგეთი)	22.03.2008	ეინდჰოვენი
200 მ თავისუფალი	1.43,86	მაიკლ ფელპსი (აშშ)	27.07.2007	მელბურნი
400 მ თავისუფალი	3.40,08	იან ტორპი (ავსტრალია)	30.07.2002	მანჩესტერი
1 500 მ თავისუფალი	14.34,56	გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია)	29.07.2001	ფუკუოკა
100 მ ბრასი	59,13	ბრენდან ჰანსენი (აშშ)	01.08.2006	ირვინი
200 მ ბრასი	2.07,51	კოსუკე კატაჯიმა (იაპონია)	08.06.2008	ტოკიო
100 მ გულაღმა	52,89	აარონ პირსოლი (აშშ)	01.07.2008	ომაჰა
200 მ გულაღმა	1.54,32	რაიან ლოჩტე (აშშ)	30.03.2007	მელბურნი
100 მ ბატერფლაი	50,40	იან კროკერი (აშშ)	30.07.2005	მონრეალი
200 მ ბატერფლაი	1.52,09	მაიკლ ფელპსი (აშშ)	28.03.2007	მელბურნი
200 მ კომპლექსური	1.54,80	მაიკლ ფელპსი (აშშ)	29.03.2007	მელბურნი
400 მ კომპლექსური	4.05,25	მაიკლ ფელპსი (აშშ)	29.06.2008	ომაჰა
4X100 მ თავისუფალი	3.12,46	აშშ (ფელპსი, უოლკერი, ჯონსი, ლეზაკი)	19.08.2006	ვიქტორია
4X200 მ თავისუფალი	7.03,24	აშშ (ფელპსი, ლოჩტე, კელერი, ვანდერკაი)	30.03.2007	მელბურნი
4X100 მ კომპლექსური	3.30,68	აშშ (პირსოლი, ჰანსენი, კროკერი, ლეზაკი)	21.08.2004	ათენი

ქალები

50 მ თავისუფალი	23,97	ლიბი ტრიკეტი (ავსტრალია)	29.03.2008	სიდნეი
100 მ თავისუფალი	52,88	ლიბი ტრიკეტი (ავსტრალი)	27.03.2008	სიდნეი
200 მ თავისუფალი	1.55,52	ლორ მანადუ (საფრანგეთი)	28.03.2007	მელბურნი
400 მ თავისუფალი	4.01,53	ფედერიკა პელეგრინი (იტალია)	24.03.2008	ეინდჰოვენი
800 მ თავისუფალი	8.16,22	ჯანეტ ევანსი (აშშ)	20.08.1989	ტოკიო
100 მ ბრასი	1.05,09	ლეიზელ ჯონსი (ავსტრალია)	20.03.2006	მელბურნი
200 მ ბრასი	2.20,54	ლეიზელ ჯონსი (ავსტრალია)	01.02.2006	მელბურნი
100 მ გულაღმა	58,97	ნატალი კულინი (აშშ)	01.07.2008	ომაჰა
200 მ გულაღმა	2.06,09	მარგარეტ ჰოლცერი (აშშ)	25.07.2008	ომაჰა
100 მ ბატერფლაი	56,61	ინგე დე ბრუინი (ჰოლანდია)	17.09.2000	სიდნეი
200 მ ბატერფლაი	2.05,40	ჯესიკა შიპერი (ავსტრალია)	17.08.2006	ვიქტორია
200 მ კომპლექსური	2.08,92	სტეფანი რაისი (ავსტრალია)	25.03.2008	სიდნეი
400 მ კომპლექსური	4.31,12	კეტი ჰოფი (აშშ)	29.06.2008	ომაჰა
4X100 მ თავისუფალი	3.33,62	ჰოლანდია (დეკერი, კრომვოლდხო, ჰეემსკერკი, ველდჰუისი)	18.03.2008	ეინდჰოვენი
4X200 მ თავისუფალი	7.50,09	აშშ (კულინი, ვოლმერი, ნიმაიერი, ჰოფი)	29.03.2007	მელბურნი
4X100 მ კომპლექსური	3.55,74	ავსტრალია (სიბომი, ჯონსი, შიპერი, ლენტონი)	31.03.2007	მელბურნი

ჰუგენბანდი მხოლოდ ასზე

ბებერმა მგელმა მეორე ურდღელს თავი მიანება

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო ექსრეკორდსმენმა პიტერ ვან დენ ჰუგენბანდმა ყურად იღო მრჩეველთა ნათქვამი და სპორტული სიბერის ჟამს ერთდროულად ორი კურდღლის დევნას თავი დაანება.

31 წლის ჰოლანდიელი პეკინის ოლიმპიადაზე თავის საყვარელ 100 მეტრზე ხომ გამოდიოდა და კიდევ 200 მეტრის ცურვაც მოინდომა — ოქროს თუ არა, იქნებ რაიმე ნაკლებბრჭყვიალა მედალს მაინც გამოვკრა ხელიო, მაგრამ ზედ ოლიმპიადის დაწყების წინ გადაიფიქრა, ემანდ 100 მეტრზე ოქროც არ დავკარგოო და მხოლოდ ერთი სახეობაღა დაიტოვა.

„იმდენად დიდია ჩემი სიყვარული 100 მეტრის მიმართ, რომ, სამწუხაროდ, მე ძალით უნდა დავთრგუნდო, ჩემი აზრით, საფუძვლიანი ამბიცია და 200 მეტრზე უარი ვთქვა. მე ხომ ის ვარსკვლავიჭუნა აღარ ვარ, რომელიც 2000 წელს სიდნეიში ვიყავი. ახლა უკვე 30 წელს გადავცდი და თუ ძალები სწორად არ გავანაწილე, იმასაც ველარ მივაღწევ, რასაც აქამდე ვაღწევდი. არადა, დარწმუნებული ვარ, 200 მეტრზე რომ გავსულიყავი, მედალს ნამდვილად ავიღებდი“ — ამბობს ჰუგენბანდი.

არის თუ არა ეს კაცი დღეს 100 მეტრზე მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ადამიანი? აღარ არის მას შემდეგ, რაც სულ ახლახან გამოჩენილმა ფრანგმა ვეშაპმა ალან ბერნარმა რეკორდი წაართვა. ისიც კი საკითხავია, 2000 და 2004 წლების ოლიმპიური ჩემპიონი შეძლებს თუ არა ჰეთ თრიქის შესრულებას. ჰუგენბანდი კი ამ დროს 200 მეტრისკენაც იწევდა. ბოლოს მან კალენდარში ჩაიხედა და ასე გადაიფიქრა — პეკინში 200 მეტრის ფინალი 12 აგვისტოს გაიმართება, სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ კი 100 მეტრის კვალიფიკაცია იწყება — ძალზე მჭიდრო გრაფიკია ვეტერანისთვის.

აჩრდილი წყალში ის მანადუ აღარა ვარ

სხვები ამ ასაკში იწყებენ მწვერვალების დაპყრობაზე ფიქრს, მას კი უკვე ყველაფერი მოჰყირჭებია. იქნებ სწორედ იმიტომაც აუცრუვდა გული, რომ ყველაფერს ლამის ბავშვმა მიაღწია და მისთის სპორტმა ეშხი დაკარგა.

დასანანია — ლორ მანადუ პეკინში ოლიმპიადის რიგით მონაწილედ მიდის და არა გამბრჯეებების სურვილით ანთებული.

„ადგილს ვუთმობ იტალიელ ფედერიკა პელეგრინის, რომელმაც მსოფლიო რეკორდიც ჩამომართვა და ახლა ჩემს მაგივრად მოიგებს 400 თავისუფალი მეტრის ოქროს. ახლა მისი ჯერია, დაე, ის იყოს ყურადღების ცენტრში, მე კი ჩრდილში დავდგები. ახლა, როცა აუზისკენ მივდივარ, ძველებურად აღარ მიყურებს ყველა და გვერდით მჯდომს ჩემკენ აღარ უთითებს. ბოლო სამ წელიწადში ძალიან ბევრის ჭადატანა მომიხდა და ის აღარ ვარ. არა მგონია, ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული შევინარჩუნო.“

მანადუ ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა ათენში 400 თავისუფალი მეტრი მოიგო. კიდევ ერთი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე რამდენიმე სახეობაში იყოჩაღა, მოიპოვა მსოფლიო რეკორდი, მერე კი... ბიჭი შეუყვარდა, ვაი, რომ ნამეტნავად და...

მისთვის ერთი ცხოვრება უკვე დამთავრდა. არადა, ლორ მანადუ ჯერ მხოლოდ 20 წლისაა.

ირაკლი ფირაშვილი

... მერე ლორ მანადუს ბიჭი შეუყვარდა! ვაი, რომ ნამეტნავად

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინსარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორეოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარაოვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00